საქართველოს სახალხო დამცველი

პრევენციის ეროვნული მექანიზმი

ანგარიში N7 პენიტენციურ დაწესებულებაში ვიზიტის შესახებ

(2015 წლის 19 ივნისი)

www.ombudsman.ge

სარჩევი

1. შესავალი 3

2. წამება და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახავი მოპყრობა 5

3. უსაფრთხოება 8

4. პატიმრობის პირობები 18

4.1. ფიზიკური გარემო, სანიტარიულ-ჰიგიენური მდგომარეობა 18

4.2 დღის განრიგი და სარეაბილიტაციო აქტივობები 18

5. სამედიცინო მომსახურება 24

6. კვება 28

7. რეჟიმი, დისციპლინური პასუხისმგებლობა, წახალისება 29

8. კონტაქტი გარე სამყაროსთან 31

1. შესავალი

წინამდებარე ანგარიში წარმოადგენს საქართველოს პრევენციის ეროვნული მექანიზმის მიერ 2015 წლის 19 ივნისს N7 პენიტენციურ დაწესებულებაში განხორციელებული ვიზიტის ანგარიშს. ანგარიშის მომზადებისას სხვა მასალასთან ერთად გამოყენებული იქნა პრევენციის ეროვნული მექანიზმის ვიზიტში მონაწილე ექსპერტების ტექნიკური ანგარიშები.[1] ვიზიტის დროს მოპოვებული დოკუმენტაცია, ასევე მონიტორინგის ჯგუფის წევრთა ანგარიშები ინახება საქართველოს სახალხო დამცველის აპარატში.

ანგარიში შეიცავს მონიტორინგის ჯგუფის ძირითად მიგნებებს და შედგენილია იმგვარად, რომ ინტერვიუს კონფიდენციალური ხასიათიდან გამომდინარე, არ მოხდეს რესპონდენტ პატიმართა იდენტიფიკაცია. ვიზიტის მიმდინარეობის დროს მონიტორინგის ჯგუფის წევრები დაუბრკოლებლად გადაადგილდებოდნენ დაწესებულების ტერიტორიაზე და ადმინისტრაციის მხრიდან მონიტორინგისთვის ხელის შეშლას ადგილი არ ჰქონია. თუმცა, აღსანიშნავია, რომ დაწესებულების ადმინისტრაციის წარმომადგენლებმა სპეციალური პრევენციული ჯგუფის წევრებს არ მისცეს საშუალება გაცნობოდნენ მეთვალყურეობის დაწესების შესახებ დირექტორის ბრძანებებზე თანდართულ უსაფრთხოების განყოფილების შუამდგომლობებს. აგრეთვე, დაწესებულების ადმინისტრაციის წარმომადგენლებმა არ გასცეს ინფორმაცია უსაფრთხოების ღონისძიების კუთხით 5 მსჯავრდებულის განცალკევების მიზეზების შესახებ და განმარტეს, რომ ეს ინფორმაცია საიდუმლოებას წარმოადგენს. ამდენად, ჯგუფის წევრებმა ვერ შეძლეს შეეფასებინათ, თუ რამდენად დასაბუთებული და პროპორციული იყო აღნიშნული ღონისძიებების გამოყენება.

N7 პენიტენციურ დაწესებულებაში არის 27 საკანი. აქედან 14 საკანი ორადგილიანია, 5 საკანი განკუთვნილია 4 პატიმრისთვის, ხოლო დანარჩენი 8 საკანი გათვლილია რვა-რვა პატიმარზე. N3 და N6 საკნებში, რომელიც გათვლილია 2 პატიმარზე, მონიტორინგის განხორციელების დროს არ იყვნენ განთავსებული პატიმრები, რადგან საკნები იყო სარემონტო. ჯგუფის ვიზიტის დროს დაწესებულებაში იმყოფებოდა 75 პატიმარი, მათ შორის, 5 ბრალდებული და 70 მსჯავრდებული, აქედან 4 მსჯავრდებული ირიცხებოდა სამეურნეო ნაწილში. 2015 წლის 19 ივნისის მდგომარეობით, 2013 წლის დეკემბერთან[2] შედარებით მნიშვნელოვნად გაიზარდა პატიმართა საერთო რაოდენობა.

2013 წელს განხორციელებული ვიზიტისას გამოვლენილი მნიშვნელოვანი დარღვევების შემდგომ, სახალხო დამცველმა N7 დაწესებულებაში არსებული მძიმე ვითარებიდან გამომდინარე დაწესებულების დახურვასთან დაკავშირებით არაერთი რეკომენდაცია გასცა; ვიზიტის შედეგად გაირკვა, რომ დაწესებულებაში არა თუ არ გამოსწორებულა ვითარება წინა ვიზიტთან შედარებით, არამედ გაუარესდა, ვინაიდან ერთი მესამედით (25 პატიმრით) გაიზარდა პატიმართა რაოდენობა

[1] სპეციალური პრევენციული ჯგუფის წევრები: დანიელ მგელიაშვილი, ლევან ბეგიაშვილი, ხატია ხელაძე, მერი სამსონია, ნათია წერეთელი, ირინა ფუტკარაძე, ირმა მანჯავიძე, მაია არჩვაძე

[2] 2013 წლის დეკემბერში N7 დაწესებულებაში იმყოფებოდა 50 პატიმარი.

და შესაბამისად, დაწესებულების გადატვირთულობა. ამდენად, უცვლელია სახალხო დამცველის რეკომენდაცია დაწესებულების დახურვასთან დაკავშირებით. ანგარიშის ძირითადი მიზანია, დაწესებულებაში ამჟამად არსებული მდგომარეობის დოკუმენტირება და დაწესებულების დახურვამდე, დროებითი ღონისძიების სახით, პატიმართა მძიმე მდგომარეობის გარკვეულწილად შესამსუბუქებლად იმ კონკრეტული ზომების შეთავაზება, რომელთა დაუყოვნებლივ მიღება სპეციალურ პრევენციულ ჯგუფს აუცილებლად მიაჩნია.

აღსანიშნავია, რომ ვიზიტის დროს სპეციალური პრევენციული ჯგუფის წევრებს პატიმრების მიმართ ფიზიკური ძალადობის ან სიტყვიერი შეურაცხყოფის ფაქტების შესახებ ინფორმაცია არ მიუღია; თუმცა, დაწესებულებაში არსებული მძიმე საყოფაცხოვრებო პირობები, უსაფრთხოების ღონისძიებების გადაჭარბებული გამოყენების პრაქტიკა, სარეაბილიტაციო აქტივობების არარსებობა, ოჯახის წევრებთან და ზოგადად გარე სამყაროსთან საკმარისი კონტაქტის არარსებობა და ამ ანგარიშში მოცემული სხვა გარემოებები შეუძლებელს ხდის პატიმრების მიერ სასჯელის მოხდას მათი ღირსების პატივისცემის პირობებში. სპეციალური პრევენციული ჯგუფის შეფასებით, ყოველივე აღნიშნული საფრთხეს უქმნის დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და წესრიგის დაცვას და ასეთ პირობებში, ბუნებრივია, ფიზიკური ძალადობის რისკიც იმატებს. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სპეციალური პრევენციული ჯგუფის ვიზიტის შემდგომ, 28 ივლისს საქართველოს სახალხო დამცველის აპარატმა მიიღო შეტყობინება N7 დაწესებულებაში განთავსებული დ.კ.-ს და ბ.კ.-ს მიმართ N7 დაწესებულების თანამშრომლების მხრიდან ფიზიკური ძალადობის სავარაუდო ფაქტის შესახებ. საქართველოს სახალხო დამცველის 30 ივლისის წინადადების შესაბამისად, აღნიშნულ ფაქტზე მიმდინარეობს გამოძიება საქართველოს მთავარ პროკურატურაში.

დაწესებულებაში არსებული მნიშვნელოვანი გამოწვევებიდან პირველ რიგში აღსანიშნავია, რომ უსაფრთხოების ღონისძიებების გამოყენების შესახებ დაწესებულების დირექტორის გადაწყვეტილებები არ არის დასაბუთებული. პრობლემას წარმოადგენს უსაფრთოხების ღონისძიებების გამოყენების მომეტებული პრაქტიკა და პატიმართა ჯამრთელობისა და სხვა გვერდითი ეფექტების გაუთვალისწინებლობა.

უმნიშვნელოვანეს პრობლემას წარმოადგენს დაწესებულების ფიზიკური გარემო და სანიტარულ-ჰიგიენური მდგომარეობა. ძირითად საცხოვრებელ საკნებში არსებული ფართი უმეტეს შემთხვევაში არ შეესაბამება პატიმრობის კოდექსის მოთხოვნებს. დაწესებულების სავენტილაციო სისტემა ვერ უზრუნველყოფს სუფთა ჰაერის საკმარის მოძრაობას. საკნებში არ არის საკმარისი ბუნებრივი განათება, საპირფარეშოები მცირე ზომისაა, ასევე მცირეა სასეირნო ფართი.

ხარვეზები იკვეთება დროული და უწყვეტი სამედიცინო მომსახურების თვალსაზრისით. არ ხდება სამედიცინო პერსონალის მიერ სამედიცინო დოკუმენტაციის სრულყოფილი წარმოება. პრობლემურია სტომატოლოგიური მომსახურება და მოძველებულია სტომატოლოგიური ინვენტარი. დაწესებულებაში კვლავ დიდ გამოწვევად რჩება ფსიქიკური ჯანმრთელობა და სათანადო ფსიქიატრიული დახმარების აღმოჩენა. ვიზიტის დროს გამოვლინდა ხარვეზები მედიკამენტების აღრიცხვის, შენახვასა და მიწოდების კონტროლთან დაკავშირებით. საკვების

მომზადებისას არ არის გათვალისწინებული სხვადასხვა ეროვნებისა და რელიგიური კონფესიების წარმომადგენელთა საჭიროებები.

დაწესებულებაში არ ხორციელდება ფსიქო-სოციალური სარეაბილიტაციო აქტივობები. ამგვარ აქტივობათა განსახორციელებლად დაწესებულებაში არ არსებობს სათანადო რესურსი. საგულისხმოა, რომ მაღალია დისციპლინური სახდელების გამოყენების მაჩვენებელი. N7 დაწესებულებაში ყველა პატიმარი ვერ სარგებლობს მისთვის კანონით მინიჭებული ხანმოკლე პაემნის უფლებით. აღნიშნულს ხელს უწყობს დისციპლინური სახდელების ხშირი გამოყენება. დაწესებულებაში არ არის ხანგრძლივი პაემანისთვის საჭირო ინფრასტრუქტურა. ვერ ხერხდება სატელეფონო ზარის განხორციელება საკმარისი რაოდენობითა და კონფიდენციალურობის დაცვით.

2. წამება და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახავი მოპყრობა

სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის მე-10 მუხლის თანახმად, ყველა თავისუფლებააღკვეთილ პირს აქვს უფლება, რომ ჰუმანურად მოექცნენ და პატივი სცენ მისი პიროვნებისათვის დამახასიათებელ ღირსებას. გაეროს ადამიანის უფლებათა კომიტეტის განმარტებით, „ადამიანის ღირსების პატივისცემა წარმოადგენს საერთაშორისო სამართლის ნორმას, რომლისგანაც დაუშვებელია ყოველგვარი გადახვევა.“[3]

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის მიხედვით, გარდა აქტიური ქმედებებისა, კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევა შეიძლება გამოწვეული იყოს პატიმრობის პირობებით. ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ საქმეში, დუგოზი საბერძნეთის წინააღმდეგ (Dougoz v. Greece), ჩამოაყალიბა ის პირობები/კრიტერიუმები, რომელშიც პატიმარი უნდა იყოს მოთავსებული, მათ შორის, საკანში უნდა იყოს ასატანი ტემპერატურა და არა ძალიან ცხელი ან ძალიან ცივი; საძინებელი საშუალებები უნდა იყოს შესაბამისი; სანიტარული მდგომარეობა უნდა აკმაყოფილებდეს სტანდარტებს.

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ საქმეში, რამიშვილი და კოხრეიძე საქართველოს წინააღმდეგ (Ramishvili and Kokhreidze v. Georgia), განმარტა, რომ „კონვენციის მე-3 მუხლის თანახმად, სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს, რომ პიროვნებამ სასჯელი მოიხადოს ადამიანური ღირსების პატივისცემის პირობებში, სასჯელის აღსრულებამ არ გამოიწვიოს განსაცდელი ან ტანჯვა, რომლის ინტენსივობაც გადააჭარბებს პატიმრობის თანმდევ, გარდაუვალ ტანჯვას“.

განჩინებაში, საქმეზე მოდარკა მოლდავეთის წინააღმდეგ (Modârcă v. Moldova), ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ განმარტა, რომ სხვადასხვა არასათანადო საცხოვრებელი პირობების ერთობლივმა ეფექტმა გამოიწვია მომჩივნის ადამიანის უფლებათა და ძირითად

[3] გაეროს ზოგადი კომენტარი No 29, საგანგებო მდგომარეობა (მუხლი 4), CCPR/C/21/Rev.1/Add.11, 31 აგვისტო 2001, პარაგრაფი 13ა

თავისუფლებათა ევროპული კონვენციის მე-3 მუხლით გარანტირებული უფლების დარღვევა (არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობის აკრძალვა).

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო არაერთ განჩინებაში უსვამს ხაზს, რომ კონვენციის მე-3 მუხლის თანახმად, სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს პირის მიერ სასჯელის მოხდა ადამიანის ღირსების პატივისცემის პირობებში, რომ სასჯელის აღსრულებამ არ გამოიწვიოს განსაცდელი და ტანჯვა, რომლის ინტენსივობაც გადააჭარბებს პატიმრობის თანმდევ, გარდაუვალ ტანჯვას და რომ პატიმრობის პრაქტიკული მოთხოვნებიდან გამომდინარე, პიროვნების ჯანმრთელობა სათანადოდ უნდა იქნას უზრუნველყოფილი.[4] სასამართლო ასევე აღნიშნავს, რომ პატიმრობაში ყოფნის პირობების შეფასებისას გასათვალისწინებელია მათი კუმულატიური ეფექტი, ისევე როგორც მომჩივნის კონკრეტული ბრალდებები.[5]

აღსანიშნავია, რომ ვიზიტის დროს სპეციალური პრევენციული ჯგუფის წევრებს პატიმრების მიმართ ფიზიკური ძალადობის ან სიტყვიერი შეურაცხყოფის ფაქტების შესახებ ინფორმაცია არ მიუღია, თუმცა N7 დაწესებულებაში არსებული მძიმე საყოფაცხოვრებო პირობები,[6] ხანგრძლივი ვადით პატიმართა იზოლირება და ელექტრონული საშუალებით მეთვალყურეობა, სარეაბილიტაციო აქტივობების,[7] ოჯახის წევრებთან და ზოგადად გარე სამყაროსთან საკმარისი კონტაქტის არ არსებობა[8] და ამ ანგარიშში აღწერილი სხვა გარემოებები ვერ უზრუნველყოფს პატიმრების მიერ სასჯელის მოხდას მათი ღირსების პატივისცემის პირობებში. სპეციალური პრევენციული ჯგუფის შეფასებით, ყოველივე აღნიშნული კი საფრთხეს უქმნის დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და წესრიგის დაცვას და ასეთ პირობებში, ბუნებრივია, ფიზიკური ძალადობის რისკიც იმატებს. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სპეციალური პრევენციული ჯგუფის ვიზიტის შემდგომ, 28 ივლისს საქართველოს სახალხო დამცველის აპარატმა მიიღო შეტყობინება N7 დაწესებულებაში განთავსებული დ.კ.-ს და ბ.კ.-ს მიმართ N7 დაწესებულების თანამშრომლების მხრიდან ფიზიკური ძალადობის სავარაუდო ფაქტის შესახებ[9]. საქართველოს სახალხო დამცველის 30 ივლისის წინადადების შესაბამისად, აღნიშნულ ფაქტზე მიმდინარეობს გამოძიება საქართველოს მთავარ პროკურატურაში.

სპეციალური პრევენციული ჯგუფის წევრებმა 2015 წლის 19 ივნისს, N7 პენიტენციურ დაწესებულებაში შეამოწმეს დაზიანებების აღრიცხვის ჟურნალი და დაადგინეს, რომ დაწესებულებაში 2015 წლის 1 იანვრიდან 19 ივნისამდე დაფიქსირდა დაზიანების 51 შემთხვევა, აქედან 49 შემთხვევაში თვითდაზიანება, 1 სუიციდის მცდელობა, 1 საყოფაცხოვრებო ტრავმა. აღსანიშნავია, რომ თვითდაზიანებებს უმეტესად ერთი და იგივე პატიმრები იყენებენ.

---

[4] იხ. Valašinas v. Lithuania, no. 44558/98, § 102, ECHR 2001-VIII; ასევე Kudła v. Poland [GC], no. 30210/96, § 94, ECHR 2000-XI

[5] იხ. Dougoz v. Greece, no. 40907/98, § 46, ECHR 2001-II

[6] დეტალურად იხილეთ ანგარიშის მე-4 თავი

[7] დეტალურად იხილეთ ანგარიშის მე-6 თავი

[8] დეტალურად იხილეთ ანგარიშის მე-8 თავი

[9] დ.კ.-ს დაზიანება აღენიშნებოდა თვალისა და წინამხრის არეში, ხოლო ბ.კ.-ს - წარბისა და წინამხრის არეში. ბ.კ.-ს აწუხებდა ტკივილი სახის, კეფის და ნეკნების მიდამოში

ფიზიკური დაზიანებების ჟურნალი არ არის დანომრილი და ზონარგაყრილი. ჟურნალში მითითებულია დაზიანების აღწერა და წარმომავლობა, ასევე რა სამედიცინო ჩარევას ჰქონდა ადგილი. 21 შემთხვევაში (41.1%) დაზიანებულებმა სამედიცინო დახმარება ადგილზე მიიღეს, 10 შემთხვევაში (19,6%) მოხდა მათი გადაყვანა N18 სამკურნალო დაწესებულებაში ან სამოქალაქო სექტორის საავადმყოფოში. აღსანიშნავია, რომ თვითდაზიანებათა 20 შემთხვევაში (39,2%) პატიმრებმა უარი განაცხადეს სამედიცინო დახმარებაზე. წამების პრევენციის ევროპული კომიტეტის რეკომენდაციის თანახმად, დახურულ დაწესებულებაში პირის სამედიცინო შემოწმებისას შედგენილი დოკუმენტაცია უნდა შეიცავდეს:

- შემოწმებული პირის მიერ მიწოდებულ ყველა ინფორმაციას, რომელიც საჭიროა სამედიცინო შემოწმებისთვის (მათ შორის, მის მიერ საკუთარი ჯანმრთელობის მდგომარეობის აღწერას და არასათანადო მოპყრობასთან დაკავშირებულ ყველა განცხადებას)
- სამედიცინო გამოკვლევაზე დაფუძნებული ობიექტური სამედიცინო დასკვნების სრულ აღწერას
- ექიმის დასკვნებს ზემოაღნიშნულ პუნქტებთან მიმართებით, რომელიც უნდა მიანიშნებდეს პირის მიერ გამოთქმული პრეტენზიების ობიექტურ სამედიცინო დასკვნებთან შესაბამისობის ხარისხზე

მითითებული ჩანაწერები ასევე უნდა შეიცავდეს ინფორმაციას ყველა დამატებითი გამოკვლევის, გაკეთებული დასკვნების და გაწეული სამედიცინო დახმარების შესახებ. სხეულის დაზიანების დოკუმენტირებისთვის უნდა არსებობდეს სპეციალური ფორმები, რომელიც საშუალებას იძლევა ანატომიური ილუსტრაციების მეშვეობით დაფიქსირდეს ინფორმაცია დაზიანების შესახებ. ამასთან, სასურველი იქნებოდა დაზიანებების დაფიქსირება ფოტოგადაღების მეთოდით.[10]

წამების პრევენციის მიზნით, სხეულზე არსებული დაზიანებების ფოტოგრაფირების მეთოდით დაფიქსირების აუცილებლობაზე მიუთითებს წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახავი მოპყრობისა და დასჯის ეფექტური გამოძიებისა და დოკუმენტირების სახელმძღვანელო – „სტამბოლის პროტოკოლი“.[11]

ექიმს, რომელიც ამოწმებს დაკავებულ პირს, უნდა შეეძლოს დაზიანების ძალადობის გზით მიყენების ალბათობის დადგენა, თუნდაც ამის შესახებ პაციენტი არ მიუთითებდეს. მას ასევე უნდა შეეძლოს ძალადობის ფსიქიკური და ფსიქოლოგიური მტკიცებულების დოკუმენტირება და პირის მიერ არასათანადო მოპყრობის შესახებ მონათხრობისა და შემოწმების შედეგების შესაბამისობის ხარისხის დადგენა.[12]

---

[10] წამების პრევენციის ევროპული კომიტეტის 23-ე ზოგადი მოხსენება, 2013 წ. პარ. 74

[11] წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახავი მოპყრობისა და დასჯის ეფექტური გამოძიებისა და დოკუმენტირების სახელმძღვ. სტამბოლის პროტოკოლი, (Istanbul protocol) / გაერო, 2004, პარ. 105

[12] იქვე პარ. 122

საგულისხმოა, რომ N7 დაწესებულებაში, ისევე როგორც სხვა დანარჩენ პენიტენციურ დაწესებულებებში დაზიანებების დოკუმენტირება არ ხდება „სტამბოლის პროტოკოლით“ დადგენილი სტანდარტების შესაბამისად. აღნიშნული პრობლემა მიმოხილულია და სახალხო დამცველის მიერ შესაბამისი რეკომენდაციები გაცემულია პრევენციის ეროვნული მექანიზმის 2014 წლის წლიურ ანგარიშში.[13]

3. უსაფრთხოება

უსაფრთხოება მოიცავს პატიმართა შორის ძალადობის, ხანძრის და სხვა საგანგებო სიტუაციების პრევენციას, პატიმართა და დაწესებულებაში მომუშავე პერსონალისთვის უსაფრთხო სამუშაო გარემოს უზრუნველყოფას, ასევე სუიციდისა და თვითდაზიანების პრევენციას.

ვიზიტის მიმდინარეობისას განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო დაწესებულებაში უსაფრთხოების კუთხით არსებულ მდგომარეობას და დაწესებულების უსაფრთხოების სამსახურის საქმიანობის სპეციფიკის შესწავლას.

2014 წლის 16 აპრილს განხორციელებული ცვლილების შესაბამისად, „პატიმრობის კოდექსში“ განისაზღვრა განსაკუთრებული რისკის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების ცნება. კოდექსის 12[1] მუხლის თანახმად:

> „1. განსაკუთრებული რისკის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულება არის განსაკუთრებულად დაცული, შეიარაღებული დაცვით უზრუნველყოფილი, სპეციალური დამცავი ზღუდეებით გარშემორტყმული დაწესებულება, რომელშიც მიღებულია უსაფრთხოების განსაკუთრებული ზომები და უზრუნველყოფილია მსჯავრდებულთა მუდმივი მეთვალყურეობა.
>
> 2. განსაკუთრებული რისკის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში მსჯავრდებულები განთავსებული არიან სპეციალურ საკნებში, სადაც მსჯავრდებულებზე ხორციელდება ვიზუალური ან/და ელექტრონული საშუალებით მეთვალყურეობა და კონტროლი ამ კოდექსის 54-ე მუხლის შესაბამისად.“

კოდექსის 66[2] მუხლის თანახმად:

> „განსაკუთრებული რისკის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში სასჯელის მოსახდელად თავსდება საშიშროების მაღალი რისკის მსჯავრდებული, რომლის პიროვნული თვისებები, კრიმინალური ავტორიტეტი, დანაშაულის ჩადენის მოტივი, დამდგარი მართლსაწინააღმდეგო შედეგი ან/და თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში გამოვლენილი ქცევა მნიშვნელოვან საფრთხეს უქმნის ან შეიძლება შეუქმნას თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებას ან გარშემომყოფთ, აგრეთვე საზოგადოების, სახელმწიფოს ან/და სამართალდამცველი ორგანოების უსაფრთხოებას.“

[13] იხ. საქართველოს პრევენციის ეროვნული მექანიზმის 2014 წლის ანგარიში, გვ. 21-32 და 42

საქართველოს პენიტენციურ სისტემაში N7 პენიტენციური დაწესებულება მოიაზრება, როგორც განსაკუთრებული რისკის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულება[14], სადაც თავსდებიან საშიშროების მაღალი რისკის მსჯავრდებულები/ბრალდებულები და რომელთა მიმართ დაწესებულების ადმინისტრაცია სხვადასხვა შემზღუდველ ღონისძიებებს ახორციელებს.

პატიმრობის კოდექსის 54-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად,

> „დასაბუთებული ვარაუდის არსებობისას ადმინისტრაციას უფლება აქვს, ბრალდებულის/მსჯავრდებულის ან სხვა პირთა უსაფრთხოებისა და სხვა კანონიერი ინტერესებიდან გამომდინარე – თვითმკვლელობის, თვითდაზიანების, მის ან სხვა პირთა მიმართ ძალადობის, ქონების დაზიანების, აგრეთვე სხვა დანაშაულისა თუ სამართალდარღვევის თავიდან ასაცილებლად განახორციელოს ვიზუალური ან/და ელექტრონული მეთვალყურეობა და კონტროლი. ელექტრონული მეთვალყურეობა ხორციელდება აუდიო-ვიდეო საშუალებებით ან/და კონტროლის სხვა ტექნიკური საშუალებებით. ადმინისტრაცია უფლებამოსილია განახორციელოს ელექტრონული საშუალებით მეთვალყურეობის, კონტროლის და ამ პროცესის შედეგად მიღებული ინფორმაციის ჩაწერა. ამავე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, ვიზუალური ან/და ელექტრონული საშუალებით მეთვალყურეობისა და კონტროლის განხორციელების შესახებ გადაწყვეტილება მიიღება იმ შემთხვევაში, თუ სხვა საშუალებების გამოყენება არაეფექტიანია. მიღებული გადაწყვეტილება დასაბუთებული და მიზნის პროპორციული უნდა იყოს. ამავე მუხლის მე-8 ნაწილის თანახმად, ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული გარემოების აღმოფხვრისთანავე ადმინისტრაცია წყვეტს ელექტრონული საშუალებით მეთვალყურეობას. დაუშვებელია ვიზუალური ან/და ელექტრონული საშუალებით მეთვალყურეობისა და კონტროლის ბრალდებულის/ მსჯავრდებულის დასჯის მიზნით განხორციელება.“

წამების პრევენციის ევროპული კომიტეტი (CPT) დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ვიზუალური ან/და ელექტრონული საშუალებით მეთვალყურეობისა და კონტროლის თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების დასაბუთებულობას და მიუთითებს, რომ სათანადო დასაბუთების გარეშე აღნიშნული ღონისძიების გამოყენება შეიძლება ჩაითვალოს პატიმრის პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლების დარღვევად.[15]

საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2015 წლის 19 მაისის N35 ბრძანებით დამტკიცებული ვიზუალური ან/და ელექტრონული საშუალებით მეთვალყურეობისა და კონტროლის განხორციელების, ჩანაწერების შენახვის, წაშლისა და განადგურების წესის მე-4

---

[14] აღსანიშნავია, რომ ვიზიტის განხორციელების დროისთვის N7 დაწესებულებას განსაკუთრებული რისკის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების სტატუსი მინიჭებული არ ჰქონდა. იმ დროს მოქმედი სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2010 წლის 27 დეკემბრის N184 ბრძანებით N7 დაწესებულება განსაზღვრული იყო როგორც პატიმრობისა და დახურული ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულება; საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2015 წლის 27 აგვისტოს N107 ბრძანებით N7 დაწესებულება განისაზღვრა როგორც განსაკუთრებული რისკის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულება, ბრძანება ძალაში შევიდა 2015 წლის 1 სექტემბერს.

[15] წამების, არაადამიანური დამამცირებელი მოპყრობის ან დასჯის ევროპული კომიტეტი (CPT), კომიტეტის ვიზიტი უკრაინაში 1-10 დეკემბერი 2012 წელი, პარაგრაფი 52, ხელმისაწვდომია ინგლისურ ენაზე შემდეგ მისამართზე: http://www.cpt.coe.int/documents/ukr/2013-23-inf-eng.htm [ბოლოს ნანახია 15.08.2015]

მუხლის მიხედვით, მეთვალყურეობისა და კონტროლის განხორციელების თაობაზე გადაწყვეტილებას იღებს დაწესებულების დირექტორი, რომელიც გამოსცემს შესაბამის ბრძანებას. მართალია, მე-3 მუხლში მითითებულია, რომ მიღებული გადაწყვეტილება უნდა იყოს დასაბუთებული და მიზნის პროპორციული, თუმცა ვალდებულება იმისა, რომ ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში აუცილებელია ბრძანებაში მიეთითოს იმ ფაქტებისა და გარემოებების ერთობლიობა, რომლებმაც განაპირობა აღნიშნული ღონისძიების განხორციელების აუცილებლობა, განსაზღვრული არ არის. გარდა ამისა, მიგვაჩნია, რომ ბრძანებაში დასაბუთებული უნდა იყოს, თუ რატომ არ არის ეფექტური სხვა საშუალებების გამოყენება მოცემულ შემთხვევაში. ყველა ინდივიდუალურ საქმეში რისკი უნდა შეფასდეს დეტალურად და მიღებულ ბრძანებაში ნათლად უნდა ჩანდეს ვიზუალური ან/და ელექტრონული საშუალებით მეთვალყურეობისა და კონტროლის განხორციელების უალტერნატივობა. აღნიშნული მნიშვნელოვანია იმდენად, რამდენადაც მონიტორინგის შედეგები ცხადყოფს, რომ დამკვიდრებული პრაქტიკით ელექტრონული საშუალებით მეთვალყურეობის შესახებ ბრძანება შეიცავს მწირ ინფორმაციას და შაბლონური ხასიათისაა.

ვიზიტის დროს გაირკვა, რომ N7 დაწესებულებაში ვიზუალური მეთვალყურეობის სისტემით აღჭურვილია 21 საკანი[16], რომლებშიც მოთავსებული იყო 64 პატიმარი. 2015 წლის მანძილზე ვიზუალური მეთვალყურეობა დაწესდა 26 პატიმრის მიმართ, ხოლო დანარჩენი 38 პატიმრის მიმართ - 2015 წლამდე.

შემოწმების შედეგად ირკვევა, რომ მეთვალყურეობის დაწესების შესახებ დაწესებულების დირექტორის ბრძანებები არ შეიცავს დასაბუთებას, თუ რა გარემოებების გამო გახდა აუცილებელი ასეთი ზომის გამოყენება. პენიტენციურ დაწესებულებებში არსებული პრაქტიკის მიხედვით, ბრძანების გამოცემას საფუძვლად უდევს დაწესებულების უსაფრთხოების განყოფილების შუამდგომლობები, რომელიც ასევე უნდა შეიცავდეს არგუმენტაციას მეთვალყურეობის გამოყენების აუცილებლობის შესახებ, თუმცა, დაწესებულების ადმინისტრაციის წარმომადგენლებმა სპეციალური პრევენციული ჯგუფის წევრებს განუცხადეს, რომ აღნიშნული შუამდგომლობები საიდუმლოა და არ მისცეს მათ შუამდგომლობების შინაარსის გაცნობის შესაძლებლობა. აღსანიშნავია, რომ დაწესებულების ადმინისტრაციის წარმომადგენლებმა ჯგუფის წევრებს ვერ განუმარტეს, თუ რომელი სამართლებრივი საფუძვლით და რა გარემოებების გამო იყო აღნიშნული ინფორმაცია საიდუმლო. საგულისხმოა, რომ 2015 წელს სპეციალური პრევენციული ჯგუფის წევრების მიერ განხორციელებული ვიზიტების დროს, სხვა არცერთ პენიტენციურ დაწესებულებაში მსგავსი შუამდგომლობები საიდუმლო არ ყოფილა და მათ გაცნობასთან დაკავშირებით დაბრკოლება არ შექმნილა, ხოლო ამ შემთხვევაში, ჯგუფს არ მიეცა შესაძლებლობა, ჯეროვნად შეეფასებინა N7 დაწესებულებაში ვიზუალური მეთვალყურეობის პრაქტიკის პროპორციულობის საკითხი. თუმცაღა, იმ გარემოების საფუძველზე, რომ 64 პატიმრიდან 2015 წელს მხოლოდ 26 პატიმრის მიმართ დაწესდა მეთვალყურეობა, ხოლო დანარჩენი 38 პატიმრის მიმართ - 2015 წლამდე, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ აღნიშნული 38

[16] დაწესებულებაში სულ 27 საკანია, რომელთაგან 2-ში იმყოფება სამეურნეო სამსახურში ჩარიცხული 4 პატიმარი, ხოლო 1 საკანი არ გამოიყენება

პატიმრის მიმართ საკმაოდ ხანგრძლივი დროით, სულ მცირე, 6 თვეზე მეტი ხნით, უწყვეტად მიმდინარეობს ვიზუალური მეთვალყურეობა.

პატიმრობის კოდექსის 57-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ბრალდებულის/მსჯავრდებულის მიერ საკუთარი თავის, გარშემომყოფთა და ქონების დაზიანების თავიდან აცილების, დაწესებულებაში დანაშაულისა და სხვა სამართალდარღვევის აღკვეთის, ბრალდებულის/მსჯავრდებულის მიერ სისტემის ორგანოს მოსამსახურის კანონიერი მოთხოვნისადმი დაუმორჩილებლობის, თავდასხმის მოგერიების, ჯგუფური დაუმორჩილებლობის ან/და მასობრივი არეულობის აღკვეთის მიზნით, ბრალდებულის/მსჯავრდებულის მიმართ შეიძლება გატარდეს შემდეგი უსაფრთხოების ღონისძიებები: ა) სპეციალური საშუალებების გამოყენება; ბ) სხვა ბრალდებულთაგან/მსჯავრდებულთაგან მისი განცალკევება; გ) დროებით სხვა პატიმრობის/თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში გადაყვანა; დ) არაუმეტეს 24 საათით სამარტოო საკანში მოთავსება. ამავე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, უსაფრთხოების ღონისძიების განხორციელება წყდება დაუყოვნებლივ, იმ საფრთხის აღმოფხვრისთანავე, რომლის აღსაკვეთადაც ეს ღონისძიება გამოიყენებოდა. ამავე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, დაუშვებელია უსაფრთხოების ღონისძიების ბრალდებულის/მსჯავრდებულის დასჯის მიზნით გამოყენება.

რაც შეეხება სპეციალურ საშუალებებს, პატიმრობის კოდექსის 57[1] მუხლის მიხედვით, ბრალდებულის/მსჯავრდებულის მიმართ შეიძლება გამოყენებულ იქნეს შემდეგი სპეციალური საშუალებები: ხელბორკილი, დამაწყნარებელი პერანგი, დამაწყნარებელი სკამი, დამაწყნარებელი საწოლი, რეზინის ხელკეტი, ცრემლსადენი გაზი, წიწაკის გაზი, არალეტალური იარაღი, აკუსტიკური საშუალება, ფსიქოლოგიური ზემოქმედების შუქბგერითი მოწყობილობა, წყალსატყორცნი, სასამსახურო ძაღლი.

ვიზიტის დროს დაწესებულებაში განცალკევებით მოთავსებული იყო 5 მსჯავრდებული. დაწესებულების ადმინისტრაციის ცნობით, ისინი განცალკევებული იყვნენ უსაფრთხოების გამო, თუმცა აღნიშნული ღონისძიების გამოყენების საფუძვლების ჯგუფის წევრებისათვის გაცნობაზე უარი განაცხადეს, იმ მიზეზით, რომ ის იყო საიდუმლო. ამდენად, ჯგუფის წევრებმა ვერ შეძლეს შეეფასებინათ თუ რამდენად დასაბუთებული და პროპორციული იყო აღნიშნული ღონისძიებების გამოყენება.

ადმინისტრაციის მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, ზემოაღნიშნული პატიმრები განცალკევებით არიან მოთავსებული: 1. 2015 წლის 17 ივნისიდან; 2. 2015 წლის 10 აპრილიდან; 3. 2013 წლის 11 ივლისიდან; 4. 2011 წლის 16 მარტიდან და 5. 2005 წლის 28 დეკემბრიდან.

პატიმრების განცალკევებით მოთავსების საფუძვლები და პროცედურები რეგულირდება საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრის 2011 წლის 30 მაისის N97 ბრძანებით დამტკიცებული თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების დებულების 69-ე მუხლით, რომლის თანახმად,

„1. მსჯავრდებულის პირადი უსაფრთხოებისათვის საფრთხის წარმოშობისას მსჯავრდებულების ან სხვა პირების მხრიდან იგი უფლებამოსილია მიმართოს დაწესებულების ნებისმიერ თანამდებობის პირს ზეპირი ან წერილობითი განცხადებით. ადმინისტრაცია ვალდებულია გაატაროს განმცხადებლის პირადი უსაფრთხოების უზრუნველყოფის ღონისძიებები.

2. დაწესებულების დირექტორი ასეთი განცხადების საფუძველზე ან საკუთარი ინიციატივით თუ არსებობს ამ მუხლის პირველი პუნქტში აღნიშნული საფრთხე, იღებს გადაწყვეტილებას მსჯავრდებულის უსაფრთხო ადგილზე გადაყვანის ან მისი უსაფრთხოების უზრუნველყოფის სხვა ღონისძიებების შესახებ.

3. მსჯავრდებულის უსაფრთხო ადგილზე გადაყვანა ხდება არა უმეტეს 30 დღის ვადისა დაწესებულების დირექტორის მიერ, ხოლო ოპერატიულ შემთხვევებში - დირექტორის მოსვლამდე დირექტორის მიერ უფლებამოსილი მოადგილის მიერ, მაგრამ არა უმეტეს 24 საათისა. (19.08.2013 N 213 ამოქმედდეს 2013 წლის 1 სექტემბრიდან)

4. აუცილებლობის შემთხვევაში, უსაფრთხო ადგილზე ყოფნის ხანგრძლივობა შეიძლება გაიზარდოს კიდევ 30 დღით.

5. თუ უსაფრთხოების ღონისძიებებმა შესაბამისი შედეგები არ გამოიღო, დაწესებულების დირექტორი დეპარტამენტის წინაშე აღძრავს საკითხს მსჯავრდებულის ან მისი უსაფრთხოებისათვის საშიში პირების სხვა დაწესებულებაში დადგენილი წესით გადაყვანის თაობაზე. შესაბამისი საფუძვლების არსებობისას ასეთი შუამდგომლობის აღსაძრავად აუცილებელი არ არის 60 დღიანი ვადის ამოწურვა.“

ნიშანდობლივია, რომ აღნიშნული ნორმა პატიმრებს, რომლებიც საკუთარი ნებით თუ ნების გარეშე სხვა მსჯავრდებულებისგან განცალკევებით თავსდებიან, უზრუნველყოფს მნიშვნელოვანი სამართლებრივი გარანტიებით, რათა, დაწესებულების ადმინისტრაციის მიერ შესაძლო თვითნებობის შემთხვევაში, არ მოხდეს პირის ხანგრძლივი იზოლაციით მისი უფლებების დარღვევა. კერძოდ, მოცემული ნორმა ცალსახად ადგენს მსჯავრდებულის განცალკევების მიზანს – მისი უსაფრთხოების დაცვას, განცალკევების ვადას და ამ ვადაში აღნიშნული ღონისძიების არაეფექტურობის შემთხვევაში, ხელისუფლების ვალდებულებას – გამოიყენოს ალტერნატიული ღონისძიება და მსჯავრდებული გადაიყვანოს სხვა დაწესებულებაში.

ამასთანავე, ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალი გადამწყვეტი მნიშვნელობის სამართლებრივ გარანტიებს ადგენს, მსჯავრდებულის უსაფრთხოების მიზნით გატარებული ღონისძიებების პროპორციულობის სტანდარტის დადგენის სახით. „ევროპული ციხის წესების“ 50.1-ე მუხლის თანახმად, „ინდივიდუალური პატიმრების მიმართ გამოყენებული უშიშროების ზომები უნდა იყოს მინიმალური, რაც კი საჭიროა მათი უსაფრთხო პატიმრობისთვის.“ 50.4-ე მუხლის თანახმად, „ყოველი პატიმარი უნდა იმყოფებოდეს იმგვარი უშიშროების პირობებში, რომელიც შეესაბამება სათანადო რისკის დონეს.“

ამასთან, უაღრესად მნიშვნელოვანია ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლის მიდგომა, რომლის თანახმად, სახელმწიფოს ეკისრება ვალდებულება, პერიოდულად გადასინჯოს მსჯავრდებულის უსაფრთხოების მიზნით გამოყენებული ღონისძიების საჭიროება და პროპორციულობა. „ევროპული ციხის წესების“ 50.5-ე მუხლის თანახმად, „საჭირო უშიშროების

დონე უნდა გადაისინჯოს რეგულარული ინტერვალებით პირის პატიმრობის მთელი ვადის განმავლობაში.“

საქმეში „რამირეზ სანჩესი საფრანგეთის წინააღმდეგ“ ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ განმარტა, რომ მსჯავრდებულის იზოლაცია არ შეიძლება გამოყენებულ იქნეს განუსაზღვრელი ვადით. უფრო მეტიც, გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება იმას, რომ მსჯავრდებულს შესაძლებლობა ჰქონდეს, დამოუკიდებელი სასამართლო ხელისუფლების მიერ გადაისინჯოს გამოყენებული ღონისძიების სახე და საფუძვლები.[17]

სასამართლო აგრეთვე აღნიშნავს, რომ სასურველია მოხდეს სამარტოო საკნის ალტერნატივის გამოყენება მაღალი რისკის მატარებელი იმ პატიმრებისათვის, რომელთა მოთავსებაც არ ხდება ჩვეულებრივი რეჟიმის დაწესებულებაში.[18] ამავე საქმეში სასამართლომ დაადგინა კონვენციის მე-13 მუხლის დარღვევა, ვინაიდან მსჯავრდებულს არ მიეცა გამოყენებული ღონისძიების გასაჩივრების შესაძლებლობა.[19]

საქმეში „პიჩოვიჩი პოლონეთის წინააღმდეგ“ სასამართლომ დაადგინა კონვენციის მე-3 და მე-8 მუხლების დარღვევა, ვინაიდან ხანგრძლივი იზოლირების პირობებში, მსჯავრდებულს არ ჰქონდა საკმარისი შესაძლებლობა, მონაწილეობა მიეღო სოციალურ აქტივობებში სხვა მსჯავრდებულებთან ერთად. ამასთან, სასამართლომ აღნიშნა, რომ პირის ხანგრძლივი იზოლირება შესაბამისი ფიზიკური და გონებრივი აქტივობების გარეშე აზიანებს მის ფსიქიკურ და სოციალურ მდგომარეობას.[20]

წამების პრევენციის ევროპულ კომიტეტს მიაჩნია, რომ მიუღებელია პირის განსაკუთრებული შეზღუდვის პირობებში მოთავსება მხოლოდ და მხოლოდ სასჯელის სიმკაცრიდან გამომდინარე. ყოველი ასეთი გადაწყვეტილება მიღებულ უნდა იქნას ინდივიდუალური რისკებისა და საჭიროებების შეფასების შესაბამისად.[21]

როგორც N7 დაწესებულების მიერ მოწოდებული ინფორმაციით ირკვევა, ზემოაღნიშნული პატიმრების ნაწილი წლების მანძილზე იმყოფება იზოლაციის პირობებში, რაც თავისთავად წარმოადგენს ამ ღონისძიების გამოყენების ვადის დარღვევას.[22] ამასთან, გაურკვეველია, თუ რა

---

[17] იხ. რამირეს სანჩესი საფრანგეთის წინააღმდეგ, 2006 წლის 4 ივლისის განჩინება, განაცხადის no. 59450/00, § 145; Ramirez Sanchez v. France

[18] იქვე, § 146

[19] იქვე, § 152

[20] იხ. პიეჩოვიცი პოლონეთის წინააღმდეგ, 2012 წლის 17 აპრილის განჩინება, განაცხადის no. 20071/07, § 173, Piechowicz v. Poland

[21] ევროპის საბჭოს კონფერენცია, ''The CPT at 25: taking stock and moving forward'' 2015 წლის 2 მარტი, სტრასბურგი, საფრანგეთი, გვ.25, ხელმისაწვდომია ინგლისურ ენაზე შემდეგ მისამართზე: http://www.cpt.coe.int/en/conferences/cpt25-background_paper.pdf [ბოლოს ნანახია 17.08.2015]

[22] საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრის 2011 წლის 30 მაისის #97 ბრძანებით დამტკიცებული თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების დებულების 69-ე მუხლით, პატიმრის განცალკევების მაქსიმალურ ვადად განსაზღვრულია 60 დღე [ძალადაკარგულად გამოცხადებულია სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 27 აგვისტოს N105 ბრძანებით]

ვადით მოქმედებს აღნიშნული ღონისძიება და კონკრეტულად რა გარემოებების დადგომის შემდეგ აღარ იარსებებს მისი გამოყენების საჭიროება. ასევე, რატომ არის შეუძლებელი სხვა, ალტერნატიული ღონისძიებების გამოყენებით სასურველი უსაფრთხოების მიზნის უზრუნველყოფა. აღნიშნულ პირობებში იზოლაცია შეიძლება გაუტოლდეს არაადამიანურ და დამამცირებელ მოპყრობას.

საშიშროების რისკის დონის მიხედვით მსჯავრდებულთა კლასიფიცირება თავისთავად მოითხოვს მათთვის სპეციალური პატიმრობის პირობების შექმნას და მაღალი უსაფრთხოების რისკის კატეგორიის მინიჭება უნდა გამომდინარეობდეს მათ მიერ ჩადენილი დანაშაულის ხასიათიდან ან საპატიმროში გამოვლენილი ქცევიდან.[23] იმ შემთხვევაში თუ პატიმრების კლასიფიკაციის სისტემა მოქმედებს ეფექტურად, მითითებული კატეგორიის პატიმრები წარმოადგენენ საერთო პატიმრების ძალიან მცირე ნაწილს. ევროპის წამების პრევენციის კომიტეტი (CPT) დიდ ყურადღებას ანიჭებს პატიმრების აღნიშნულ ჯგუფს და მოითხოვს განსაკუთრებული საგამონაკლისო ზომების მიღებას, რადგანაც ისინი სხვა პატიმრებთან შედარებით, წამებისა და არასათანადო მოპყრობის უფრო დიდი რისკის ქვეშ არიან.[24]

გაეროს პატიმრებთან მოპყრობის მინიმალური სტანდარტული წესების 27-ე წესის შესაბამისად, „დისციპლინა და წესრიგი მკაცრად უნდა იყოს დაცული, თუმცა, შემოღებულ უნდა იქნას მხოლოდ ის შეზღუდვები, რომლებიც აუცილებელია ზედამხედველობის საიმედოობის უზრუნველსაყოფად და დაწესებულებაში თანაცხოვრების სათანადო წესების დასაცავად''[25]

„პატიმრობა და სხვა ზომები, რომლებიც სამართალდამრღვევს გარე სამყაროსაგან იზოლირებულ პირობებში აქცევს, მას განსაცდელში აგდებს თუნდაც იმიტომ, რომ ართმევს მას თვითგამორკვევის უფლებას. შესაბამისად, ციხის სისტემამ არ უნდა გაამწვავოს აღნიშნული მდგომარეობიდან გამომდინარე განსაცდელი, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც სეგრეგაცია გამართლებულია, ან, როდესაც ამას მოითხოვს დისციპლინის დაცვის აუცილებლობა.“[26]

პატიმრები არ უნდა დაექვემდებარონ სპეციალურ უსაფრთხოების რეჟიმს უფრო მეტ ხანს და იმაზე მეტი ზომით, ვიდრე ამას მოითხოვს ის რისკი, რომელიც თავად პატიმრისგან გამომდინარეობს. ეს ასევე გულისხმობს განსაკუთრებული რისკის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში განთავსების შესახებ გადაწყვეტილების რეგულარულ გადახედვას, რაც დაფუძნებული უნდა იყოს ინდივიდუალური პატიმრის რეგულარულ შეფასებაზე. ისინი შეძლებისდაგვარად უნდა იყვნენ ინფორმირებულნი მათი განთავსების მიზეზების შესახებ, აგრეთვე გადახედვის შესაძლებლობის შესახებ.

---

[23] წამების, არაადამიანური დამამცირებელი მოპყრობის ან დასჯის ევროპული კომიტეტი (CPT), 11th ზოგადი ანგარიში, კომიტეტის აქტივობები 2000 წლის 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით, პარაგრაფი 32, ხელმისაწვდომია ინგლისურ ენაზე შემდეგ მისამართზე: http://www.cpt.coe.int/en/annual/rep-11.htm#_Toc523890679, [ბოლოს ნანახია 08.04.2015]

[24] იქვე

[25] გაეროს პატიმრებთან მოპყრობის მინიმალური სტანდარტული წესების, წესი 27

[26] იქვე, წესი 57

არსებული პრაქტიკის მიხედვით, N7 დაწესებულებაში მყოფი ზოგიერთი პატიმარი წლობით იმყოფება აღნიშნულ დაწესებულებაში და მათ მიმართ სისტემატიურად ხორციელდება ვიზუალური მეთვალყურეობა და სხვა პატიმრებისგან განცალკევებით მოთავსება. აღსანიშნავია, რომ მხოლოდ 2015 წლის 9 ივლისს საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის ბრძანებით დამტკიცდა „მსჯავრდებულის რისკის სახეების, რისკის შეფასების კრიტერიუმების, რისკის შეფასებისა და გადაფასების წესის, მსჯავრდებულის იმავე ან სხვა ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში გადაყვანის წესისა და პირობების, აგრეთვე მულტიდისციპლინური გუნდის შემადგენლობისა და უფლებამოსილების განსაზღვრის წესი“. თუმცა დღემდე, საშიშროების რისკის გამო, N7 დაწესებულებაში პატიმრების გადაყვანის საჭიროების, იქ ყოფნის ხანგრძლივობისა და გადასინჯვის პერიოდულობის განსაზღვრა, კანონმდებლობით რეგულირებული არ ყოფილა და პრევენციის ეროვნული მექანიზმის დაკვირვებით, აღნიშნული პროცესი გამჭვირვალე არ იყო. რაც შეეხება მომავალში ზემოთ მითითებული წესის შესაბამისად, N7 დაწესებულებაში გადაყვანის საკითხს, პრევენციის ეროვნული მექანიზმის მიერ აღნიშნული შეფასდება შემდგომი ვიზიტების დროს.

საგულისხმოა, რომ ერთი მხრივ N7 დაწესებულებაში არსებული უსაფრთხოების ზომების მომეტებული და ერთგვაროვანი პრაქტიკა, ხოლო მეორე მხრივ მათი გამოყენების პრაქტიკის გაუმჭვირვალობა, აჩენს ლეგიტიმურ ეჭვს, რომ უსაფრთხოების ღონისძიების გამოყენების საჭიროების განსაზღვრა არ ხდება პატიმრების რისკების ინდივიდუალურად შეფასების საფუძველზე, არამედ აღნიშნულ პრაქტიკას აქვს რუტინული სახე.

მაღალი რისკის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში დამაკმაყოფილებელი აქტივობების პროგრამის არსებობა ისეთივე და უფრო მეტად მნიშვნელოვანიც შეიძლება იყოს ვიდრე ჩვეულებრივ ციხეებში.[27] შესაბამისად უზრუნველყოფილი უნდა იყოს განათლების, პროფესიული მომზადების, სამუშაოს, დასვენების დროის გამოყოფა და აქტივობების განხორციელება, რა თქმა უნდა, უსაფრთხოების ასპექტების გათვალისწინებით. აქტივობები უნდა იყოს მაქსიმალურად მრავალფეროვანი, რამდენადაც ეს შესაძლებელია. რაც შეეხება კონკრეტულ სამუშაოებს, უსაფრთოხებიდან გამომდინარე შესაძლებელია შეიზღუდოს ზოგიერთი ისეთი სამუშაო, რომელიც მხოლოდ ჩვეულებრივ თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებში შეიძლება განხორციელდეს, თუმცა ეს არ უნდა ნიშნავდეს იმას, რომ მხოლოდ რუტინული და მომაბეზრებელი სამუშაოს განხორციელება იყოს შესაძლებელი.[28]

შემოწმების შედეგად გაირკვა, რომ N7 დაწესებულებაში მყოფი პატიმრების მიმართ ხშირად ერთდროულად მოქმედებს სხვადასხვა დისციპლინური ზომები[29], რის გამოც გარკვეული პერიოდი მათ საერთოდ არ შეუძლიათ კონტაქტი დაამყარონ გარე სამყაროსთან (მათ შორის, ოჯახის წევრებთან). გარდა ამისა, N7 დაწესებულებაში არ მოქმედებს არცერთი სარეაბილიტაციო აქტივობა ან რაიმე პროფესიული სწავლების კურსი და არც დასაქმების შესაძლებლობა (გარდა სამეურნეო სამსახურისა, სადაც ჩართულია მხოლოდ 4 პატიმარი და მათზე არ მოქმედებს ის

[27] სქოლიო 8

[28] იქვე

[29] სატელეფონო საურის შეზღუდვა, პაემნის შეზღუდვა, მიმოწერის უფლების შეზღუდვა

უსაფრთხოების ზომები, რაც სხვა დანარჩენ პატიმრებზე), რაც შესაძლებელს გახდიდა პატიმრები დაკავებულიყვნენ მათთვის საინტერესო აქტივობით.

უსაფრთხოების ზომების გამოყენებისას, განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს მათი გამოყენებით გამოწვეულ გვერდით ეფექტებს და ჯანმრთელობის პრობლემებს. დაწესებულებაში უნდა არსებობდეს საკმარისი საცხოვრებელი სივრცე და სათანადო რაოდენობის კვალიფიციური პერსონალი, მათ შორის, სოციალური მუშაკი.

საკნებში არსებული სივიწროვე, პატიმრების მიმართ უსაფრთხოების ღონისძიებების (ვიზუალური მეთვალყურეობა და იზოლირება) ხანგრძლივი დროით გამოყენება, გარე სამყაროსთან სათანადო კონტაქტის და სარეაბილიტაციო აქტივობების არ არსებობა, ერთობლივად მნიშვნელოვანად უარყოფითად აისახება პატიმრების ფსიქიკაზე და ფიზიკური ჯანმრთელობის მდგომარეობაზე, რაც აჩენს სამედიცინო, ფსიქოლოგიური და სოციალური მომსახურების საჭიროებას, თუმცა საგულისხმოა, რომ N7 დაწესებულებაში პრობლემურია ზოგადად ადეკვატური სამედიცინო მომსახურების, ფსიქიატრიული დახმარების, ფსიქოლოგისა და სოციალური მუშაკის სერვისების მიღება. აღსანიშნავია, რომ დაწესებულებაში არ მუშაობს სოციალური მუშაკი, რის გამოც პატიმრებს სოციალურ მომსახურებაზე ხელი ნაკლებად მიუწვდებათ.

უსაფრთხოების უზრუნველყოფის მისაღწევად ერთ-ერთ ყველაზე კარგ საშუალებას „დინამიკური უსაფრთხოების“ კონცეფციის პრაქტიკაში განხორციელება წარმოადგენს. დინამიკური უსაფრთხოების კონცეფცია ითვალისწინებს დაწესებულების პერსონალსა და პატიმართა შორის პოზიტიური ურთიერთობის უზრუნველყოფას სამართლიანი მოპყრობის პირობებში, ასევე რესოციალიზაციისა და საზოგადოებაში სამომავლო ინტეგრაციისკენ მიმართული აქტივობების არსებობას. პენიტენციური დაწესებულების პერსონალს გააზრებული უნდა ჰქონდეს, რომ პატიმრებთან ჰუმანური და სამართლიანი მოპყრობა ხელს უწყობს დაწესებულებაში მართლწესრიგისა და უსაფრთხოების შენარჩუნებას.[30]

განსაკუთრებული რისკის დაწესებულებაში არსებული სპეციალური, მკაცრი რეჟიმის საკომპენსაციოდ, პატიმრებს უნდა ჰქონდეთ მათთვის საინტერესო აქტივობების არჩევის კარგი შესაძლებლობა. განსაკუთრებული ძალისხმევა უნდა იყოს მიმართული ადმინისტრაციასა და პატიმრებს შორის პოზიტიური ურთიერთობის ჩამოსაყალიბებლად. აღნიშნული უზრუნველყოფს არამხოლოდ პატიმრების მიმართ ადამიანურ მოპყრობას, არამედ ეფექტურ კონტროლს და უსაფრთხოებას.

პატიმართა კონტროლი ასევე მოიცავს სტატიკური უსაფრთხოების ელემენტებს, როგორიცაა უსაფრთხოების სათანადო ინფრასტრუქტურა და აღჭურვილობა, ასევე ინციდენტების მართვა და საჭიროების შემთხვევაში ძალის გამოყენება.[31] თუმცა, მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ გაეროს სამართალდამცავ ორგანოთა ქცევის კოდექსის მიხედვით, სამართალდამცავი ორგანოების

[30] United Nations, Prison Incident Management Handbook, 2013, p. 21-22. ხელმისაწვდომია ინგლისურ ენაზე შემდეგ მისამართზე: http://www.un.org/en/peacekeeping/publications/cljas/handbook_pim.pdf
[31] იქვე, გვ. 13

წარმომადგენლებს ძალის გამოყენება შეუძლიათ მხოლოდ უკიდურესი აუცილებლობის შემთხვევაში და იმ ზომით, რაც აუცილებელია მათი მოვალეობის შესასრულებლად.[32] ეს გულისხმობს იმას, რომ დამატებითი უსაფრთოხების ზომას უნდა მიმართონ უკიდურეს შემთხვევაში.

სპეციალური პრევენციული ჯგუფის შეფასებით, N7 დაწესებულების ადმინისტრაცია ძირითადად იყენებს „სტატიკური უსაფრთხოების“ ელემენტებს (ელექტრონულ მეთვალყურეობა, იზოლირება), რაც ვერ ჩაანაცვლებს „დინამიკური უსაფრთხოების“ ზომებს. აღნიშნული კი დაწესებულებაში არსებულ პატიმრობის მძიმე პირობებთან ერთად შეიძლება გაუტოლდეს არაადამიანურ და დამამცირებელ მოპყრობას.

რეკომენდაცია სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრს:

- **შეისწავლოს N7 დაწესებულებაში ვიზუალური მეთვალყურეობის შესახებ უსაფრთხოების განყოფილების შუამდგომლობების დასაიდუმლოების პრაქტიკა და მიიღოს ზომები, რათა აღნიშნული ღონისძიების გამოყენების შესახებ მიღებული გადაწყვეტილება იყოს დასაბუთებული და მიზნის პროპორციული**

- **ვიზუალური მეთვალყურეობა განხორციელდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სხვა საშუალებების გამოყენება არაეფექტურია**

- **N7 დაწესებულების გაუქმებამდე გადატვირთულობის პრობლემის შემსუბუქების მიზნით, უსაფრთხოების რისკების შეფასება პრიორიტეტულად განხორციელდეს დაწესებულებაში მყოფი პატიმრების მიმართ და უსაფრთხოების შედარებით დაბალი რისკის პატიმრები გადაყვანილ იქნან სხვა დაწესებულებაში**

ადამიანის უფლებათა დაცვის პირობებში დაწესებულებაში წესრიგისა და უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად:

- **უსაფრთხოების ღონისძიებები გამოიყენონ, მხოლოდ იმ მინიმალური ზომითა და ხანგრძლივობით, რაც აუცილებელია ლეგიტიმური მიზნის მისაღწევად**

- **უსაფრთოხების ღონისძიებების გამოყენების შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას და მისი განხორციელებისას გათვალისწინებულ იქნას პატიმრის ჯანმრთელობის მდგომარეობა. შესაძლო გვერდითი ეფექტების გამოვლენის მიზნით, შესაბამისი კვალიფიკაციის პერსონალის მიერ განხორციელდეს სისტემატიური მონიტორინგი და მათი გამოვლენის შემთხევაში მოხდეს შესაბამისი რეაგირება**

[32] UN General Assembly, Code of conduct for law enforcement officials, 5 February 1980, A/RES/34/169, ხელმისაწვდომია ინგლისურ ენაზე შემდეგ მისამართზე: http://www.refworld.org/docid/48abd572e.html

- **უსაფრთხოების დაცვის მიზანი არ იქნას გამოყენებული იმგვარად, რომ პატიმრებს სრულად ეთქვათ უარი სარეაბილიტაციო აქტივობებზე**

4. პატიმრობის პირობები

4.1. ფიზიკური გარემო, სანიტარიულ-ჰიგიენური მდგომარეობა

მძიმე საყოფაცხოვრებო პირობებია N7 დაწესებულებაში, რაზეც სახალხო დამცველმა არაერთი რეკომენდაციით[33] მიმართა საქართველოს სასჯელაღსრულების და პრობაციის მინისტრს. მათ შორის დაწესებულების დახურვასთან დაკავშირებით. აღნიშნული პრობლემები დეტალურად არის აღწერილი სახალხო დამცველის 2013 და 2014 წლების საპარლამენტო ანგარიშში, თუმცა საკითხი დღემდე არ მოგვარებულა და არც დაწესებულების დახურვასთან დაკავშირებით გადადგმულა რაიმე ნაბიჯები.

N7 დაწესებულებაში არის 27 საკანი. აქედან 14 საკანი ორადგილიანია, 5 საკანი განკუთვნილია 4 პატიმრისთვის, ხოლო დანარჩენი 8 საკანი გათვლილია რვა-რვა პატიმარზე. ორადგილიან N3 და N6 საკნებში პატიმრები არ იყვნენ განთავსებული, რადგან საკნები სარემონტო იყო.

ორადგილიანი საკნის ფართი შეადგენს დაახლოებით 7 კვადრატულ მეტრს, ოთხ ადგილიანის - 9 კვადრატულ მეტრს, ხოლო რვა ადგილიანის - 14,5 კვადრატულ მეტრს. ორადგილიან საკანში ერთი პატიმრისთვის განკუთვნილი ფართი შეადგენს 3,5 კვადრატულ მეტრს, ოთხ ადგილიან საკანში - 2,25 კვადრატულ მეტრს, ხოლო რვა ადგილიან საკანში - 1,8 კვადრატულ მეტრს. მოცემული გაანგარიშების დროს არ არის გამოკლებული საპირფარეშოს ფართი და ფართი, რომელიც საწოლს და მაგიდას უკავია.

2015 წლის 19 ივნისის მდგომარეობით რვა ადგილიან N2 და N18 საკნებში მოთავსებული იყო 7 პატიმარი, N7, N9 და N25 საკნებში - 6 პატიმარი, N16 საკანში - 4 პატიმარი, N11 საკანში - 3 პატიმარი. რაც შეეხება ოთხადგილიან საკნებს, N10 და N17 საკნებში მოთავსებული იყო 4 პატიმარი, N8 და N24 საკნებში - 2 პატიმარი, ხოლო N1 საკანში - 1 პატიმარი. ორადგილიანი საკნებიდან N12, N13, N14, N15, N19, N20 და N22 საკანში მოთავსებული იყო 2 პატიმარი. 6 პატიმარი საკნებში ცალ-ცალკე იყო მოთავსებული.

ზემოთ მოცემული 27 საკნიდან 2 საკანში ცხოვრობენ სამეურნეო სამსახურში ჩარიცხული პატიმრები. თითო საკანში 2. ორივე საკანი განთავსებულია დაწესებულების პირველ სართულზე

[33] 30/07/2013 რეკომენდაცია N03-3/513; 16/12/2013 რეკომენდაცია N894/03-5; 19/02/2014 რეკომენდაცია N03/458.

და არ აქვს ნომერი. შესასვლელიდან მარცხენა მხარეს, დაწესებულების თანამშრომელთა სამორიგეო ოთახის გვერდით მდებარე საკანში მოთავსებულია ორი სამეურნეო სამსახურში დასაქმებული პატიმარი. აღნიშნულ საკანში არის 1 ძალიან მცირე ზომის (დაახლოებით 30სმX30 სმ) ფანჯარა, რომელიც მიწის ქვეშაა განთავსებული და ფაქტიურად არც დღის შუქს და არც ჰაერს არ უშვებს საკანში. სხვა სახის ვენტილაციის საშუალება საკანში არ არსებობს. აღნიშნული საკნის ფართობი დაახლოებით 5 კვადრატული მეტრია (2.5 X2). შესასვლელიდან მარცხენა მხარეს კი არის სამეურნეო სამსახურში დასაქმებული პატიმრების მეორე საკანი, სადაც ასევე 2 პირია მოთავსებული. საკნის ფართობია 7,5 (3X2,5) კვადრატული მეტრი, საკანს არ აქვს რაიმე სახის ვენტილაცია ან ფანჯარა. აღწერილ საკნებს შიგნით არ აქვს თავისი სანიტარული კვანძი, ორივე საკანი ნესტიანი და მოძველებულია, ფაქტიურად შეუთავსებელია ადამიანის საცხოვრებლად.

მონიტორინგის შედეგებიდან შეიძლება გაკეთდეს დასკვნა, რომ ძირითად საცხოვრებელ საკნებში არსებული ფართი უმრავლეს შემთხვევაში არ შეესაბამება საქართველოს პატიმრობის კოდექსის მე-15 მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილებით დადგენილ მოთხოვნებს[34].

N2 და N18 საკნებში, სადაც მოთავსებულია 7 პატიმარი, ერთი ადამიანისთვის განკუთვნილი ფართი შეადგენს დაახლოებით 2 კვადრატულ მეტრს. რაც შეეხება N7, N9, N16 და N25 საკნებს, სადაც მოთავსებულია ექვსი, ხუთი და ოთხი პატიმარი, ერთი პატიმრისათვის განკუთვნილი ფართი 2,4 კვადრატული მეტრიდან 3,6 კვადრატულ მეტრამდე მერყეობს. N10 და N17 საკნებში, სადაც მოთავსებულია ოთხი პატიმარი ერთი პატიმრისთვის განკუთვნილი ფართი 2,25 კვადრატული მეტრიდან 3 კვადრატულ მეტრამდე მერყეობს.

აქ აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ზემოთ მოცემული გაანგარიშების დროს არ არის გამოკლებული საპირფარეშოს ფართი და ფართი, რომელიც საწოლს და მაგიდას უკავია. საპირფარეშოს ფართი საკნებში მერყეობს 0,4 (0,63X0,69) კვადრატული მეტრიდან 0,5 (0,62X0,78) კვადრატულ მეტრამდე, საწოლის ერთი რიგის მიერ დაკავებული ფართი შეადგენს დაახლოებით 1,3 კვადრატული მეტრს. შესაბამისად, რვა ადგილიან საკანში მთლიან ფართს უნდა გამოაკლდეს 5,2 (1,3X4) კვადრატული მეტრი, ასევე საპირფარეშოს და მაგიდის ფართი, ჯამში დაახლოებით 1 კვადრატული მეტრი, რაც შეადგენს დაახლოებით 8,3 კვადრატულ მეტრს. აშკარაა, რომ 8 ადგილიან საკანში თუნდაც 4 პატიმრის მოთავსების შემთხვევაში სივიწროვეა. იგივე შეიძლება ითქვას ოთხადგილიან საკნებზე.

საქართველოს პატიმრობის კოდექსის მე-15 მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად, ბრალდებულის/მსჯავრდებულის საცხოვრებელს უნდა ჰქონდეს ფანჯარა, რომელიც უზრუნველყოფს ბუნებრივ განათებასა და ვენტილაციას. ბრალდებული/მსჯავრდებული უზრუნველყოფილი უნდა იყოს გათბობითაც.

ციხის ევროპული წესების თანახმად, „ყველა შენობაში, სადაც პატიმრები ცხოვრობენ, მუშაობენ ან იკრიბებიან: ფანჯრები უნდა იყოს საკმარისად დიდი, რათა საშუალება მიეცეთ პატიმრებს,

[34] საქართველოს პატიმრობის კოდექსის მე-15 მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ,,1 მსჯავრდებულზე საცხოვრებელი ფართობის ნორმა ყველა ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში არ უნდა იყოს 4 კვ. მეტრზე ნაკლები. ამავე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, ,,1 ბრალდებულზე საცხოვრებელი ფართობის ნორმა პატიმრობის დაწესებულებაში არ უნდა იყოს 3 კვ. მეტრზე ნაკლები“

იკითხონ ან იმუშაონ ბუნებრივი განათების ნორმალურ პირობებში, ასევე იძლეოდეს სუფთა ჰაერის მოძრაობის შესაძლებლობას, გარდა იმ შემთხვევისა, როცა არსებობს ჰაერის კონდიცირების ჯეროვანი სისტემა; ხელოვნური განათება უნდა აკმაყოფილებდეს მიღებულ ტექნიკურ სტანდარტებს; უნდა არსებობდეს სიგნალიზაციის სისტემა, რომელიც საშუალებას მისცემს პატიმრებს, დაუყოვნებლივ დაუკავშირდნენ პერსონალს[35].“

N7 დაწესებულებაში არსებულ საკნებს აქვს მცირე ზომის ფანჯრები (75X43 სმ), ისინიც დაფარულია გისოსების რამდენიმე შრით. რის გამოც ჰაერი და მზის სხივი ფანჯრიდან საკნებში ფაქტობრივად ვერ აღწევს. დაწესებულების სავენტილაციო სისტემა ვერ უზრუნველყოფს სუფთა ჰაერის საკმარის მოძრაობას, საკნებში არასაკმარისი ბუნებრივი განათებაა.

„პატიმრებთან მოპყრობის მინიმალური სტანდარტული წესების“ მე-10 და მე-11 წესების მიხედვით, ყველა ადგილი, რომლითაც სარგებლობენ პატიმრები, განსაკუთრებით ყველა საძინებელი ოთახი, სრულად უნდა პასუხობდეს სანიტარულ მოთხოვნებს. ამასთან, სათანადო ყურადღება უნდა მიექცეს კლიმატურ პირობებს, განსაკუთრებით ამ ოთახების სიმაღლეს, მინიმალურ ფართობს, განათებას და ვენტილაციას, ფანჯრები უნდა იყოს საკმარისი ზომის იმისათვის, რომ პატიმრებს შეეძლოთ კითხვა და მუშაობა დღის შუქზე და ისე უნდა იყოს კონსტრუირებული, რომ უზრუნველყოს სუფთა ჰაერის მიწოდება იმისდა მიუხედავად, არსებობს თუ არა ვენტილაციის ხელოვნური სისტემა.

N7 დაწესებულებაში მყოფი პატიმრები უკმაყოფილებას გამოთქვამენ სასეირნო ეზოს მდებარეობისა და მოწყობის გამო. სასეირნო ეზოები მცირე ზომისაა და მდებარეობს ისეთ ადგილას, სადაც ჰაერი ფაქტობრივად არ მოძრაობს. მონიტორინგის შედეგად გაირკვა, რომ სასეირნოდ გამოყოფილი ფართი შეადგენს 13 კვადრატულ მეტრს (4,2X3,1). ასეთი სასეირნო ფართი სულ ოთხია დაწესებულებაში. სასეირნო ფართი შემოსაზღვრულია დაახლოებით სამი მეტრის სიმაღლის კედლებით და გადახურულია გისოსებითა და მეტალის ბადით. აღნიშნულის გამო და დამატებით იმის გათვალისწინებითაც, რომ სასეირნო ფართი მოქცეულია შენობებს შორის, მზის სხივები და სუფთა ჰაერი იქ სათანადოდ ვერ აღწევს.

ამასთან, გასათვალისწინებელია, რომ N7 დაწესებულება წარმოადგენს პატიმრობის და დახურული ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებას და იქ მოთავსებული პატიმრები, სარგებლობენ დღეში ერთი საათით სუფთა ჰაერზე გასეირნების უფლებით. აღსანიშნავია, რომ N7 დაწესებულებაში სასჯელს იხდიან პირები, რომლებსაც წარსულში არაერთხელ აქვთ გადატანილი ფილტვების ტუბერკულოზი. ასეთ პირობებში ცხოვრება ამძიმებს მათი ჯანმრთელობის მდგომარეობას და ზრდის ტუბერკულოზით განმეორებით დაავადების რისკს.

პატიმრობის კოდექსის მე-14 მუხლის „ა.ა“ ქვეპუნქტის თანახმად, ბრალდებულსა და მსჯავრდებულს უფლება აქვს, უზრუნველყოფილი იყოს პირადი ჰიგიენით. ამავე კანონის 21-ე მუხლის თანახმად, „ბრალდებულს/მსჯავრდებულს უნდა ჰქონდეს შესაძლებლობა,

[35] 18.2- წესი

დაიკმაყოფილოს ბუნებრივი ფიზიოლოგიური მოთხოვნები და დაიცვას პირადი ჰიგიენა პატივისა და ღირსების შეულახავად.“

N7 დაწესებულებაში საკნებში არსებული საპირფარეშოები მცირე ზომისაა, არ არსებობს ვენტილაციის სისტემა და არც ჩამრეცხი ავზებია დაყენებული. მართალია, საპირფარეშო იზოლირებულია საკნის დანარჩენი ფართისგან, მაგრამ, საპირფარეშოს კარის ზედა ნაწილში დარჩენილი ღია სივრციდან, ვენტილაციის სისტემის არარსებობის პირობებში, არასასიამოვნო სუნი საკანში აღწევს.

საპირფარეშოს ფართობი მერყეობს 0,4 (0,63X0,69) კვადრატული მეტრიდან 0,5 (0,62X0,78) კვადრატულ მეტრამდე. პატიმრები აცხადებენ, რომ ზოგიერთ მათგანს, მისი ფიზიკური მონაცემებიდან გამომდინარე, ტუალეტში არსებული სივიწროვის გამო არ შეუძლია ნორმალურ პირობებში დაიკმაყოფილოს ბუნებრივი მოთხოვნილებები. ხშირად პატიმრებს უწევთ საპირფარეშოს კარის გაღება და ბუნებრივი მოთხოვნილებების ამგვარ დამამცირებელ მდგომარეობაში დაკმაყოფილება. აქვე აღსანიშნავია, რომ საპირფარეშოს კარების პირდაპირ განლაგებულია საწოლები და განმარტოება პრაქტიკულად შეუძლებელია. აღნიშნულ საკითხზე არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობის კონტექსტში არაერთ საქმეზე აქვს ნამსჯელი ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს.[36]

რეკომენდაცია სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს:

- **გაუქმდეს N7 დაწესებულება, პატიმრობის პირობების სტანდარტებთან სრულად შეუსაბამობის გამო**
- **დაუყოვნებლივ გაუქმდეს N7 დაწესებულების შენობის პირველ სართულზე არსებული საკნები და იქ მყოფი პატიმრები მოთავსებულ იქნან სათანადო პირობებში**
- **ვიდრე N7 დაწესებულება გაუქმდება, საკანში შემცირდეს პატიმართა რაოდენობა, გატანილი იქნას ზედმეტი საწოლები და ყველა პატიმარი უზრუნველყოფილი იქნას 4 კვ.მ. ფართით**
- **დაწესებულების გაუქმებამდე, დროებითი ღონისძიების სახით, ყველა საკანი უზრუნველყოფილი იქნას ვენტილატორით**
- **N7 დაწესებულების საცხოვრებელი საკნებში არსებული რთული პირობებიდან გამომდინარე, პატიმრებს გაეზარდოთ სასეირნო დრო**

[36] იხ. Inter alia რამიშვილი და კოხრეიძე საქართველოს წინააღმდეგ, 2009 წლის 27 იანვრის განჩინება, განაცხადის N1704/06, §86; Aleksandr Makarov v. Russia, judgment of 12 March 2009, application no. 15217/07, § 97

4.2 დღის განრიგი და სარეაბილიტაციო აქტივობები

სახალხო დამცველმა თავის არაერთ ანგარიშში აღნიშნა[37], რომ სასჯელაღსრულების დაწესებულებაში არსებული პირობები უნდა უზრუნველყოფდეს პატიმრის რესოციალიზაციასა და რეინტეგრაციას საზოგადოებაში. მსჯავრდებულმა სასჯელის მოხდის პერიოდში უნდა მიიღოს ან გააღრმავოს მისთვის სასურველი და ხელმისაწვდომი განათლება და უნარ-ჩვევები, მიეცეს საშუალება მონაწილეობდეს სპორტულ, სახელოვნებო, ინტელექტუალურ, თუ სხვა სახის ღონისძიებებში.

რესოციალიზაციის პროცესი კომპლექსურ მიდგომას მოითხოვს, რაც გულისხმობს კარგად გააზრებული სამოქმედო გეგმის შემუშავებას, რომელიც ზოგადი ხასიათის ღონისძიებების გატარებასთან ერთად, ინდივიდუალურ მიდგომასაც ითვალისწინებს.

ფიზიკური და ფსიქიკური ჯანმრთელობის შენარჩუნების მიზნით, ყველა დაწესებულებაში პატიმრები უზრუნველყოფილნი უნდა იყვნენ დასვენებისა და კულტურული საქმიანობის შესაძლებლობით.[38] ევროპული ციხის წესების თანახმად, ყოველი სასჯელაღსრულების დაწესებულება უნდა ცდილობდეს, რომ პატიმრები უზრუნველყოს საგანმანათლებლო პროგრამების ხელმისაწვდომობით, რომლებიც იქნება შეძლებისდაგვარად მრავალმხრივი და უპასუხებს პატიმართა ინდივიდუალურ საჭიროებებს მათი მისწრაფებების გათვალისწინებით.[39]

პატიმართა ფსიქო-სოციალური რეაბილიტაციის უზრუნველსაყოფად, აუცილებელია, დაწესებულებაში ხელმისაწვდომი იყოს ფსიქოლოგის მომსახურება. დაწესებულების სოციალურ განყოფილებაში დასაქმებულია ერთი ფსიქოლოგი, რომელიც გარდა N7 დაწესებულებისა, ასევე მუშაობს სხვა პენიტენციურ დაწესებულებებშიც.[40] ფსიქოლოგთან გასაუბრების შედეგად დადგინდა, რომ იგი კონსულტაციებს ატარებს პატიმრების მიმართვის შემთხვევაში. 2015 წლის პირველ ნახევარში 46 კონსულტაცია ჩატარდა, რაც საკმაოდ დაბალი მაჩვენებელია. ვინაიდან დაწესებულებაში არ არის ფსიქოლოგისთვის გამოყოფილი ოთახი, ინდივიდუალური გასაუბრება პაციენტსა და ფსიქოლოგს შორის ძირითადად დაწესებულების მეორე სართულზე არსებულ სტომატოლოგის ოთახში ტარდება. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ამავე ოთახში დამონტაჟებულია სათვალთვალო კამერა. ფსიქოლოგის განმარტებით, მისივე უსაფრთხოებიდან გამომდინარე, კონსულტაციის მიმდინარეობის დროს ოთახის კარი არ იხურება და იქვე დგას სამართლებრივი რეჟიმის ან უსაფრთხოების განყოფილების თანამშრომელი. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ირღვევა ფსიქოლოგთან გასაუბრების კონფიდენციალურობა, ამასთან, არ არის უზრუნველყოფილი თერაპიული გარემო.

---

[37]სახალხო დამცველის საპარლამენტო ანგარიში, 2014 წელი http://www.ombudsman.ge/uploads/other/2/2439.pdf, გვ. 92; სახალხო დამცველის საპარლამენტო ანგარიში, 2013 წელი, http://www.ombudsman.ge/uploads/other/1/1563.pdf, გვ. 55

[38] პატიმრებთან მოპყრობის მინიმალური სტანდარტული წესები, წესი 78

[39] ევროპული ციხის წესები, წესი 28.1

[40] ამჟამად N15 და N19 დაწესებულებებში

მონიტორინგის განხორციელების შედეგად დადგინდა, რომ N7 დაწესებულებაში სარეაბილიტაციო პროგრამები საერთოდ არ განხორციელებულა. ამგვარ აქტივობათა განსახორციელებლად დაწესებულებაში არ ფუნქციონირებს სოციალური განყოფილება, დაწესებულებას არ ჰყავს სოციალური მუშაკი. გარდა აღნიშნულისა, დაწესებულებაში არ არის პირობები სარეაბილიტაციო ღონისძიებების განსახორციელებლად, ვინაიდან უსაფრთხოების მიზნებიდან გამომდინარე ხშირად პატიმრები განცალკევებულნი არიან და არ აქვთ ერთმანეთთან კონტაქტის საშუალება. ამასთან, დაწესებულებაში არ არსებობს სათანადო რესურსი ჯგუფური აქტივობების განსახორციელებლად. დაწესებულების გაუქმებამდე, დროებითი ღონისძიების სახით აუცილებელია პატიმრებს, სულ მცირე, საკანში მიეცეთ შესაძლებლობა დაკავდნენ რაიმე მათთვის საინტერესო თავშესაქცევი, სახელოვნებო, შრომითი, შემეცნებითი და სხვა აქტივობებით. ასევე მნიშვნელოვანია, თუნდაც დაწესებულების შეზღუდული შესაძლებლობის პირობებში, ხელი შეეწყოს გარკვეულ ინდივიდუალურ სპორტულ აქტივობებს. მაგალითად, თხოვნის შემთხვევაში დამატებით მოხდეს პატიმრის გაყვანა სასეირნო ეზოში, სადაც ის შეძლებს ვარჯიშს ინდივიდუალურად. ამ მიზნით, უსაფრთხოების დაცვის ინტერესების გათვალისწინებით, შესაძლებელია სასეირნო ეზოში ელემენტარული სპორტული აღჭურვილობის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა.

მონიტორინგის ჯგუფის შეფასებით, N7 დაწესებულებაში პატიმრებს არ გააჩნიათ შესაძლებლობა დაკავდნენ რაიმე ღირებული, მათთვის საინტერესო აქტივობით. ამგვარი მდგომარეობა დაწესებულებაში ქმნის არაჯანსაღ, სტრესულ გარემოს, რაც უარყოფითად აისახება პატიმრებსა და დაწესებულების თანამშრომლებს შორის არსებულ ურთიერთობაზე, ასევე დაწესებულებაში წესრიგისა და უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფაზე.

2013 და 2014 წლების საპარლამენტო ანგარიშებში სახალხო დამცველმა რეკომენდაციით მიმართა სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრს, უზრუნველეყო სასჯელაღსრულების დეპარტამენტის N7 დაწესებულებაში მსჯავრდებულთა რესოციალიზაციის სხვადასხვა პროგრამების დანერგვა და განხორციელება. აღსანიშნავია, რომ ეს რეკომენდაცია დღემდე არ შესრულებულა.

ევროპული ციხის წესების თანახმად, „სასჯელაღსრულების დაწესებულებაში პატიმრის მუშაობა უნდა აღიქმებოდეს, როგორც ციხის რეჟიმის პოზიტიური ელემენტი და არასდროს არ უნდა იქნეს სასჯელის სახით გამოყენებული.“[41] „ციხის ხელმძღვანელობა უნდა ცდილობდეს სასარგებლო ხასიათის საკმარისი სამუშაოთი პატიმრების უზრუნველყოფას.“[42] „პატიმრისათვის განკუთვნილი სამუშაო უნდა იყოს შეძლებისდაგვარად იმგვარი, რომ უნარჩუნებდეს ან ავითარებდეს პატიმრის მიერ გათავისუფლების შემდგომ თავის რჩენის უნარს.“[43]

[41] ციხის ევროპული წესები. წესი 26.1
[42] იქვე, 26.2–ე წესი
[43] ციხის ევროპული წესები. წესი 26.3

N7 დაწესებულებაში ვიზიტის დროს, სამეურნეო სამსახურში ირიცხებოდა 4 პატიმარი, რომლებიც ძირითადად ასუფთავებდნენ, ალაგებდნენ, რეცხავდნენ თეთრეულს, არიგებდნენ პროდუქტსა და საკვებს. აღნიშნულ საქმიანობაში პატიმრები იღებდნენ შესაბამის შრომით ანაზღაურებას.

რეკომენდაცია საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრს:

- **N7 დაწესებულების გაუქმებამდე, დროებითი ღონისძიების სახით:**

ა) უზრუნველყოფილ იქნას დაწესებულებაში სოციალური მუშაკის დასაქმება

ბ) ფსიქოლოგმა და სოციალურმა მუშაკმა მოახდინონ პატიმართა ინდივიდუალური გამოკითხვა მათთვის საინტერესო აქტივობების შესახებ

გ) გამოკითხვის შედეგებზე დაყრდნობით, უსაფრთხოების დაცვის მიზნის გათვალისწინებით, მოხდეს იმ აქტივობათა იდენტიფიცირება, რომელთა განხორციელებაც შესაძლებელია ჯგუფურად ან ინდივიდუალურად

დ) ზემოაღნიშნული ძალისხმევის შედეგად, დაწესებულებაში არსებული შესაძლებლობების გათვალისწინებით, ყველა პატიმარს მიეცეს საშუალება დაკავდეს მათთვის საინტერესო აქტივობით

- **N7 დაწესებულების გაუქმების შემდგომ, უზრუნველყოს N7 დაწესებულებაში მყოფ პატიმართა მოთავსება ისეთ პირობებში, სადაც შესაძლებელი იქნება მრავალფეროვანი სარეაბილიტაციო აქტივობების განხორციელება**

5. სამედიცინო მომსახურება

ადმიანის უფლებათა ევროპული სასამართლო თავის განჩინებაში საქმეზე კუდლა პოლონეთის წინააღმდეგ (Kudla v. Poland) განმარტავს, რომ „კონვენციის მე-3 მუხლი სახელმწიფოს აკისრებს ვალდებულებას დაიცვას თავისუფლება აღკვეთილი პირის ფიზიკური ჯანმრთელობა.“ სასამართლო თავის არაერთ განჩინებაში უთითებს, რომ „შესაბამისმა ორგანოებმა უნდა უზრუნველყონ, რომ დიაგნოზი და მკურნალობა იყოს დროული და ზუსტი და სამედიცინო პერსონალის მიერ გაწეული ზედამხედველობა იყოს რეგულარული და სისტემატიური ხასიათის და მოიცავდეს სრულ თერაპიულ სტრატეგიას“.[44]

დაწესებულების მთავარი ექიმის მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, N7 დაწესებულებაში დასაქმებულია მთავარი ექიმი, 2 დღის მორიგე ექიმი, 4 ექთანი, ფარმაცევტი და სტომატოლოგი. მორიგე ექიმების სამუშაო საათებია დილის 10 საათიდან საღამოს 21 საათამდე. ექთნებს კი 24 საათიანი მორიგეობა უწევთ 4 დღეში ერთხელ. ამასთან, აღსანიშნავია, რომ ღამე დაწესებულებაში მხოლოდ ერთი ექთანი მორიგეობს. მონიტორინგის დროს გამოკითხული მსჯავრდებულების უმეტესობა სამედიცინო პერსონალის მხრიდან უყურადღებობას უჩივის.

[44] Inter alia ჯაში საქართველოს წინააღმდეგ, 2013 წლის 8 იანვრის განჩინება, პარ. 61

დაწესებულებაში არსებული სამედიცინო ნაწილი ამბულატორიული ტიპისაა და ტარდება შემდეგი სახის მანიპულაციები: გადასხმები, ინექციები, შეხვევები. დაწესებულებაში ასევე არის ექიმების და ექთნების ერთი ოთახი, აქვე არის წამლების სამარაგო ოთახი. სამანიპულაციო ოთახის გვერდზე არის სტომატოლოგის კაბინეტი.

N7 დაწესებულებაში პატიმრებს სტომატოლოგიურ მომსახურებას უწევს 1 სტომატოლოგი, რომელიც დაწესებულებაში მიდის კვირაში ორჯერ, სამშაბათს და პარასკევს. შემოწმების შედეგად გაირკვა, რომ სტომატოლოგს მუშაობის პროცესში დაბრკოლებები ექმნება სტომატოლოგიური ინსტრუმენტებითა და ინვენტარით არასაკმარისი მომარაგების გამო. სტომატოლოგიური ინსტრუმენტები და სტერილიზატორი არის მოძველებული, კაბინეტში არ არის ინსტრუმენტების შესანახი კარადა და ტუმბო, ასევე არ არის ორგანყოფილებიანი მეტალის ნიჟარა.

იმ დღეებში როდესაც დაწესებულებაში არ არის სტომატოლოგი, მის კაბინეტში ექიმ-სპეციალისტები იღებენ პაციენტებს. ექიმ-კონსულტანტთა მიერ განხორციელებული ბოლო ვიზიტების დრო, კონსულტირებულ და მოლოდინში მყოფ პატიმართა რაოდენობა მოცემულია ქვემოთ, ცხრილში:

2015 წლის თებერვლის თვიდან ივნისის თვის ჩათვლით ჩატარებული კონსულტაციები						
ექიმ-კონსულტანტი		თებერვალი	მარტი	აპრილი	მაისი	ივნისი
1	ფსიქიატრი	3 ვიზიტი	5 ვიზიტი	3 ვიზიტი	3 ვიზიტი	4 ვიზიტი
		21 პაციენტი	19 პაციენტი	14 პაციენტი	11 პაციენტი	21 პაციენტი
2	ინფექციონისტი	1 ვიზიტი	1 ვიზიტი	1 ვიზიტი	2 ვიზიტი	1 ვიზიტი
		3 პაციენტი	1 პაციენტი	3 პაციენტი	6 პაციენტი	1 პაციენტი
3	ნევროლოგი	2 ვიზიტი	0	0	1 ვიზიტი	0
		4 პაციენტი	0	0	4 პაციენტი	0
4	ნევროპათოლოგი	0	0	0	0	3 ვიზიტი
		0	0	0	0	14 პაციენტი
5	ენდოკრინოლოგი	1 ვიზიტი	0	1 ვიზიტი	0	1 ვიზიტი
		4 პაციენტი	0	7 პაციენტი	0	6 პაციენტი
6	უროლოგი	1 ვიზიტი	2 ვიზიტი	2 ვიზიტი	2 ვიზიტი	1 ვიზიტი
		8 პაციენტი	2 პაციენტი	7 პაციენტი	5 პაციენტი	6 პაციენტი
7	დერმატოლოგი	1 ვიზიტი	0	1 ვიზიტი	2 ვიზიტი	0
		9 პაციენტი	0	9 პაციენტი	16 პაციენტი	0
8	დერმატო-ვენეროლოგი	0	0	0	0	2 ვიზიტი
		0	0	0	0	9 პაციენტი
9	ოკულისტი/ოფთალმოლოგი	1 ვიზიტი	0	1 ვიზიტი	0	1 ვიზიტი
		8 პაციენტი	0	7 პაციენტი	0	9 პაციენტი
10	ქირურგი	0	1 ვიზიტი	0	0	0
		0	1 პაციენტი	0	0	0
11	ოტორინოლარინგოლოგი	0	1 ვიზიტი	0	2 ვიზიტი	0
		0	7 პაციენტი	0	16 პაციენტი	0

12	**კარდიოლოგი**	0	0	0	0	1 ვიზიტი
		0	0	0	0	3 პაციენტი
13	**ექო-კარდიოგრაფია**	0	0	1 ვიზიტი	0	0
		0	0	7 პაციენტი	0	0
14	**მუცლის ღრუს ექოსკოპია**	2 ვიზიტი	2 ვიზიტი	1 ვიზიტი	1 ვიზიტი	2 ვიზიტი
		10 პაციენტი	24 პაციენტი	14 პაციენტი	2 პაციენტი	33 პაციენტი
15	**რენტგენოგრაფია**	1 ვიზიტი	1 ვიზიტი	1 ვიზიტი	0	2 ვიზიტი
		1 პაციენტი	6 პაციენტი	4 პაციენტი	0	15 პაციენტი
16	**მულტიდისციპლინ ური ჯგუფი**	0	3 ვიზიტი	0	2 ვიზიტი	0
		0	3 პაციენტი	0	3 პაციენტი	0

2015 წლის 1 იანვრიდან ივნისის თვის ჩათვლით პენიტენციური დეპარტამენტის N7 დაწესებულებიდან გამოკვლევებისა და ოპერაციული მკურნალობის მიზნით გაყვანილი იყო 69 პატიმარი, რომელთაგან 27 გაყვანილი იქნა სამოქალაქო სექტორის საავადმყოფოებში, ხოლო 42 - N18 სამკურნალო დაწესებულებაში.

დაწესებულებაში კვლავ დიდ გამოწვევად რჩება ფსიქიკური ჯანმრთელობა. განსაკუთრებით საყურადღებოა N7 დაწესებულებაში განთავსებული უვადოდ თავისუფლებააღკვეთილი მსჯავრდებულის დ.ფ.-ს საქმე. სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს ფსიქიატრიული კომისიის 2014 წლის 16 ივლისის, 3 დეკემბრის და 23 დეკემბერის დასკვნის თანახმად, მსჯავრდებულს დ.ფ-ს აქვს ფსიქოზური დონის ფსიქიკური აშლილობა. კომისიის დასკვნის თანახმად, მსჯავრდებულისთვის მიზანშეწონილია სასამართლო ფსიქიატრიული ექსპერტიზის ჩატარება და საჭიროებს არანებაყოფლობით ფსიქიატრიულ მკურნალობას.

აღსანიშნავია, რომ მსჯავრდებულს ფსიქიატრის კონსულტაცია ბოლოს 2014 წლის 2 დეკემბერს ჩაუტარდა. მსჯავრდებულს დაესვა ორგანული ბოდვითი აშლილობის დიაგნოზი და ფსიქიატრიული ექსპერტიზის ჩატარების რეკომენდაცია მიეცა.

საგულისხმოა, რომ ფსიქიატრიული კომისიის არაერთი დასკვნის მიუხედავად ვერ ხერხდება მსჯავრდებულ დ.ფ.-სთვის სათანადო ფსიქიატრიული მკურნალობის ჩატარება. მსჯავრდებულის სამედიცინო დოკუმენტაციის შესწავლით ირკვევა, რომ 2015 წლის განმავლობაში არაერთი შეთავაზების მიუხედავად, იგი უარს აცხადებს სამედიცინო დახმარებაზე[45]. ასევე დოკუმენტაციის შესწავლით ირკვევა, რომ მსჯავრდებულმა უარი განაცხადა მულტიდისციპლინურ ჯგუფთან კონსულტაციაზე.

N7 დაწესებულების მთავარი ექიმის განმარტებით, დაწესებულებაში მოქმედებს სუიციდის პრევენციის საპილოტე პროგრამა, რომელშიც ჩართულია 1 მსჯავრდებული. მისივე განმარტებით, მსჯავრდებული გ.ვ. გადაყვანილი იქნა N18 სამკურნალო დაწესებულების ფსიქიატრიულ

[45] აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით შედგენილია შესაბამისი ოქმები, ბოლო შეთავაზება განხორციელდა 2015 წლის 19 ივლისს

განყოფილებაში, თუმცა პატიმრის პირადი განცხადების საფუძველზე იგი კვლავ დააბრუნეს N7 დაწესებულებაში.

N7 დაწესებულებაში წამლების სამარაგოში დასაქმებულია ერთი ფარმაცევტი, რომელიც ყოველდღიურად აწარმოებს მედიკამენტების აღრიცხვის ჟურნალს და სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული სამკურნალო საშუალებების აღრიცხვის ჟურნალს.

დაწესებულებას მედიკამენტებით სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს სამედიცინო დეპარტამენტი ამარაგებს. მთავარი ექიმის მოვალეობის შემსრულებლისა და ფარმაცევტის განმარტებით, მედიკამენტების მოთხოვნას გზავნიან თვეში ერთხელ, თვის ბოლოს.

წამლების სამარაგოში არ არის სპეციალური მაცივარი, სადაც შეინახავენ მედიკამენტებს, ამიტომ ასეთი მედიკამენტები ინახება მთავარი ექიმის კაბინეტში, სამედიცინო პერსონალის საკვების შესანახ მაცივარში.

პატიმრების მედიკამენტებით მომარაგებას უზრუნველყოფს დაწესებულების მორიგე ექიმი, რომელიც დღის განმავლობაში აწვდის დანიშნულ მედიკამენტებს. უნდა აღინიშნოს, რომ ფსიქოტროპული მედიკამენტების მიღება არ ხდება ექთნის თანდასწრებით.[46] აქედან გამომდინარე, არ ხდება ფსიქოტროპული მედიკამენტების მიღების კონტროლი, რაც ფსიქოტროპული მედიკამენტების არამიზნობრივი გამოყენების საფრთხეს ქმნის. კერძოდ, შესაძლებელია მედიკამენტის გადაცემა მოხდეს თანამესაკნისთვის ან პატიმარმა დააგროვოს და ერთდროულად მიიღოს რამდენიმე აბი.

ვიზიტის მიმდინარეობისას ასევე დადგინდა, რომ N7 დაწესებულებაში პრობლემას წარმოადგენს სამედიცინო დოკუმენტაციის სრულყოფილად წარმოება.

სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრს:

- **N7 დაწესებულებაში უზრუნველყოფილი იქნას რევმატოლოგისა და ნეიროქირურგის კონსულტაციების დროული ჩატარება**
- **მიიღოს ყველა საჭირო ზომა სამედიცინო პერსონალის მიერ სამედიცინო დოკუმენტაციის სრულყოფილი წარმოებისა და სამედიცინო მომსახურების უწყვეტობის უზრუნველსაყოფად**
- **უზრუნველყოფილ იქნას N7 დაწესებულებაში მოთავსებული პატიმრებისათვის ადეკვატური ფსიქიატრიული დახმარების დროულად მიწოდება**

[46] საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2003 წლის 21 ივლისის N150/ნ „დამტკიცებული სასწრაფო და გადაუდებელი სამედიცინო დახმარების სამსახურში ნარკოტიკული საშუალებების, ფსიქოტროპული ნივთიერებებისა და პრეკურსორების შეძენის, შენახვის, აღრიცხვის, მომზადებისა და გამოყენების წესის“ (დანართი N5) მე-12 პუნქტის თანახმად, „სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული ნივთიერებები ავადმყოფს უკეთდება ხელმძღვანელი ექიმისა და მედდის (ან ექიმის) თანდასწრებით“

- **მსჯავრდებულ დ.ფ.-სათვის უზრუნველყოფილი იქნას სათანადო ფსიქიატრიული მომსახურების გაწევა**

6. კვება

ვიზიტის განხორციელების დროს N7 დაწესებულებაში დადგენილი იყო ერთი ძირითადი მენიუ და ორი სახის დიეტური მენიუ ღვიძლით და კუჭ-ნაწლავის დაავადებების მქონე მსჯავრდებულებისათვის. აღსანიშნავია, რომ „ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა კვების ნორმებისა და სანიტარიულ-ჰიგიენური ნორმების შესახებ“ საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურდიული დახმარების საკითხთა მინისტრისა და საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2011 წლის 20-25 მაისის ბრძანების[47] მე-14 მუხლში დამატებით განსაზღვრულია დღიურ რაციონში შემავალი პროდუქტების ჩამონათვალი და ენერგეტიკული ღირებულება სასჯელაღსრულების დეპარტამენტის დაქვემდებარებაში არსებულ მსჯავრდებულთა და ბრალდებულთა სამკურნალო დაწესებულებასა და დაწესებულებების საექიმო-სამედიცინო პუნქტებში სტაციონარულ მკურნალობაზე მყოფი პატიმრებისათვის, ასევე სტაციონარულ მკურნალობაზე მყოფ პოსტოპერაციულ მსჯავრდებულთათვის. ამავე მუხლში ასევე მითითებულია, რომ პაციენტებს, რომლებიც საჭიროებენ სპეციალურ დიეტას, ექიმის დანიშნულების შესაბამისად შეიძლება ერთი სახის პროდუქტი მეორეთი ისე შეეცვალოს, რომ შენარჩუნებულ იქნას საკვების ნორმებით გათვალისწინებული კვებითი ღირებულება.

ვიზიტის მიმდინარეობისას შემოწმდა სამზარეულოში არსებული საკვები პროდუქტების ვარგისიანობის ვადა. დარღვევა აღმოჩენილი არ ყოფილა, თუმცა გამოკითხული პატიმრების ნაწილი უკმაყოფილოა საკვების გემოსა და ულუფის სიმცირის გამო. გარდა აღნიშნულისა, საკვების მომზადებისას არ არის გათვალისწინებული სხვადასხვა რელიგიური კონფესიების წარმომადგენელთა საჭიროებები.

პატიმრებს უნდა ქონდეთ შესაძლებლობა შეიძინონ ან სხვაგვარად მიიღონ საქონელი, საკვების და სასმელის ჩათვლით საკუთარი გამოყენებისთვის, ჰიგიენის, წესრიგისა და უსაფრთხოების საკითხების გათვალისწინებით, იმ ფასებში, რომლებიც ბევრად არ აღემატება თავისუფალ საზოგადოებაში არსებულ ფასებს.[48] პატიმრებმა უკმაყოფილება გამოთქვეს დაწესებულების მაღაზიაში არსებული პროდუქციის სიმწირესთან დაკავშირებით. საკითხის ადგილზე შესწავლით დგინდება, რომ მაღაზიის პროდუქციის მომარაგება არ ხდება საკმარისი სიხშირითა და რაოდენობით, რის გამოც შესაბამისად ვერ ხდება დაწესებულებებში მყოფი პატიმრების მოთხოვნების დაკმაყოფილება.

---

[47] ძალადაკარგულია სასჯელაღსრულებისა და პრობაციისა მინისტრისა და შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 08/13/2015 N 88 - N 01-34/ნ ერთობლივი ბრძანებით

[48] ევროპული ციხის წესები, მუხ. 31.5

მაღაზიაში ყოველდღიური საჭიროებისათვის აუცილებელი პროდუქციის დეფიციტს ადასტურებენ მაღაზიის თანამშრომლებიც. განსაკუთრებულ პრობლემას წარმოადგენს მაღაზიების სატელეფონო ბარათებით არასაკმარისი მომარაგება, რის გამოც, პატიმრები ვერ ახერხებენ ოჯახის წევრებთან სატელეფონო ზარების განხორციელებას. დაწესებულებაში ვიზიტის დროს გაირკვა, რომ ხშირ შემთხვევაში, დაწესებულების მაღაზიის არასათანადო მომარაგების გამო, პატიმრებს არ აქვთ სიგარეტი, ჩაი, ყავა, ჰიგიენური საშუალებები, ვენტილატორი და სხვა საჭირო პროდუქცია.

რეკომენდაცია სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრს

- **სრულად იქნას დაცული ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა კვების ნორმები**
- **საკვების მომზადებისას გათვალისწინებულ იქნას სხვადასხვა კონფესიების წარმომადგენელთა სპეციალური საჭიროებები**
- **შეისწავლოს N7 დაწესებულებაში არსებული მაღაზიის მოთხოვნადი პროდუქციით მომარაგების საკითხი და მიიღოს ყველა საჭირო ზომა, რათა უზრუნველყოფილი იყოს მაღაზიის პროდუქციით სათანადო მომარაგება**

7. რეჟიმი, დისციპლინური პასუხისმგებლობა, წახალისება

ევროპული ციხის წესების თანახმად, დისციპლინური სასჯელი გამოყენებულ უნდა იქნეს, როგორც უკიდურესი საშუალება.[49] ციხის ადმინისტრაციამ მედიაციის ყველა შესაძლებლობას უნდა მიმართოს, რათა მოაგვაროს საკამათო საკითხები პატიმრებთან და პატიმრებს შორის.[50] ნებისმიერი სასჯელის სიმკაცრე უნდა იყოს ჩადენილი დანაშაულის პროპორციული. [51] დასჯის თვალსაზრისით აკრძალულია კოლექტიური და ფიზიკური დასჯა, რომელიც ითვალისწინებს ბნელ საკანში პირის მოთავსებას, ასევე აკრძალულია არაადამიანური და ღირსების შემლახავი სხვა სახდელები.[52] მნიშვნელოვანია, რომ დისციპლინური სახდელი არ უნდა მოიცავდეს ოჯახთან კონტაქტის სრულად აკრძალვას. [53]

დისციპლინური სახდელების გამოყენება უნდა განხორციელდეს კანონის უზენაესობის პრინციპებიდან გამომდინარე და გაეროს პატიმართა მოპყრობის მინიმალურ წესებთან შესაბამისობაში. მნიშნელოვანია განისაზღვროს ის ქმედებები, რომლებიც იწვევენ დისციპლინურ პასუხისმგებლობას. [54] აქვე უნდა აღნიშნოს, რომ საქართველოს კანონმდებლობა არ განსაზღვრავს, თუ რომელი დისციპლინური სახდელი უნდა დაეკისროს დამრღვევს ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, რაც დაწესებულების ხელმძღვანელ პირებს საკმაოდ ფართო დისკრეციას აძლევს

[49] ციხის ევროპული წესები. წესი 56.1
[50] იქვე, წესი 56.2
[51] იქვე, წესი 60.2
[52] იქვე, წესი 60.2
[53] იქვე, წესი 60.2
[54] პატიმართა მოპყრობის მინამალური სტანდარტული წესები, წესი 29

დისციპლინური სახდელის შერჩევის პროცესში და ზრდის სახდელების არაპროპორციულად გამოყენების რისკს.

ვიზიტის მიმდინარეობისას მონიტორინგის ჯგუფმა განსაკუთრებული ყურადღება დაუთმო დაწესებულებაში დისციპლინური სახდელების გამოყენების პრაქტიკას. შემოწმების შედეგად დადგინდა, რომ 2015 წლის 1 იანვრიდან 19 ივნისამდე დისციპლინური სახდელი გამოყენებულ იქნა 114 შემთხვევაში. პატიმრის დისციპლინური პასუხისმგებლობის საფუძვლად ყველაზე მეტად გამოიყენებოდა შემდეგი დარღვევები: ხმაური, გადაძახილი, ყვირილი.

	საანგარიშო პერიოდში გამოყენებული დისციპლინური სახდელები	**რაოდენობა**
1.	სატელეფონო საუბრის უფლების შეზღუდვა	44
2.	ხანმოკლე პაემნის აკრძალვა	22
3.	პირადი ხასიათის კორესპონდენციის მიღება-გაგზავნის უფლების შეზღუდვა	14
4.	მაღაზიით სარგებლობის უფლების შეზღუდვა	12
5.	ამანათის/გზავნილის შეზღუდვა	11
6.	საყვედური	7
7.	რადიომიმღებით სარგებლობის უფლების შეზღუდვა	3
8.	ტელევიზორით სარგებლობის უფლების შეზღუდვა	1

მონიტორინგის შედეგებმა აჩვენა, რომ დისციპლინური სახდელების დაკისრებისას, დაწესებულების ადმინისტრაცია ყველაზე ხშირად[55] იყენებს სატელეფონო საუბრის შეზღუდვას, რაც ზემოაღნიშნულ პერიოდში გამოყენებული დისციპლინური სახდელების 38.6 %-ს შეადგენს.

აღსანიშნავია, რომ 2015 წლის პირველი 6 თვის მანძილზე, 4 შემთხვევაში დაკისრებული დისციპლინური სახდელების საფუძველზე, პატიმრებს სრულად ჰქონდათ შეზღუდული ოჯახის წევრებთან კონტაქტი. აღნიშნული პირდაპირ ეწინააღმდეგება ციხის ევროპულ წესებს, სადაც ხაზგასმითაა მითითებული, რომ დისციპლინური სახდელი არ უნდა მოიცავდეს ოჯახთან კონტაქტის სრულად აკრძალვას. [56] ასე მაგალითად, ერთ-ერთ მსჯავრდებულს მიმდინარე წლის მაისის თვეში შეეზღუდა სატელეფონო ზარის განხორციელების უფლება 2 თვით, ივნისში შეეზღუდა პირადი ხასიათის კორესპონდენციის მიღება/გაგზავნის უფლება 2 თვის, ხოლო ხანმოკლე პაემნით სარგებლობის უფლება 3 თვის ვადით. აღნიშნული შემთხვევიდან ნათლად ჩანს, რომ პატიმარს დაახლოებით 1 თვის მანძილზე სრულად ჰქონდა შეზღუდული ოჯახის წევრებთან კონტაქტი. ანალოგიურად, მეორე პატიმარს მიმდინარე წლის მაისში შეეზღუდა სატელეფონო საუბრის უფლება 2 თვით, ივნისში შეეზღუდა ხანმოკლე პაემნით სარგებლობისა და პირადი ხასიათის კორესპონდენციის მიღება/გაგზავნის უფლება 3 თვით, აღსანიშნავია, რომ მას ამავე თვეში შეეზღუდა ტელევიზორით სარგებლობის უფლება. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ რამდენიმე შემთხევაში პატიმრებს ოჯახთან კონტაქტის მხოლოდ ერთი საშუალება ჰქონდათ.

[55] 44 შემთხვევაში გამოყენებულ იქნა სატელეფონო საუბრის შეზღუდვა

[56] ციხის ევროპული წესები, წესი 60.2

N7 დაწესებულებაში სამარტოო საკანი არ ფუნქციონირებს და შესაბამისად დისციპლინური სახით სამარტოო საკანში მოთავსება ზემოაღნიშნულ პერიოდში არც ერთ პატიმარს არ დაკისრებია.

სანიმუშო ყოფაქცევისა და საქმიანობისადმი კეთილსინდისიერი დამოკიდებულების შემთხვევაში, დაწესებულების ადმინისტრაცია უფლებამოსილია, მსჯავრდებულის მიმართ გამოიყენოს წახალისების სხვადასხვა ფორმები. განხორციელებული მონიტორინგის საფუძველზე დადგინდა, რომ 2015 წლის იანვრიდან 1 ივნისამდე დაფიქსირდა წახალისების მხოლოდ 2 შემთხვევა. სპეციალური პრევენციული ჯგუფის შეფასებით, პატიმართა ხშირი წახალისებას შეუძლია შეასუსტოს დაწესებულებაში ციხის სუბკულტურის გავლენა და ხელი შეუწყოს მსჯავრდებულთა რესოციალიზაციას. შესაბამისად, მნიშვნელოვანია, რომ N7 დაწესებულებაში გაძლიერდეს პატიმართა წახალისების პოლიტიკა.

რეკომენდაცია საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრს:

- **დისციპლინური სახდელი გამოყენებულ იქნას, როგოც უკიდურესი ღონისძიება**
- **მიიღოს ყველა საჭირო ზომა, რათა N7 დაწესებულებაში დისციპლინური სახდელის გამოყენებისას არ მოხდეს ოჯახთან კონტაქტის სრულად აკრძალვა**

8. კონტაქტი გარე სამყაროსთან

წამების საწინააღმდეგო ევროპული კომიტეტი რეკომენდაციებში განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს თითოეული პირისათვის, რომელსაც აღკვეთილი აქვს თავისუფლება, გარე სამყაროსთან მყარი კავშირის არსებობას. კომიტეტის თანახმად, „აქ სახელმძღვანელო პრინციპად გვევლინება გარე სამყაროსთან კონტაქტების შენარჩუნების მხარდაჭერა; ასეთი კონტაქტის ნებისმიერი შეზღუდვა უნდა ეფუძნებოდეს სერიოზული ხასიათის უსაფრთხოების მოსაზრებებს ან არსებულ მატერიალურ რესურსებთან დაკავშირებულ პრობლემებს“.[57]

პატიმრებთან მოპყრობის მინიმალური სტანდარტული წესების 79-ე პუნქტი ეხება პატიმრის ოჯახის წევრებთან ურთიერთობის შენარჩუნების საკითხს. კერძოდ, განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს პატიმარსა და მის ოჯახს შორის კავშირების შენარჩუნებას და განმტკიცებას, რაც სასურველადაა მიჩნეული და ემსახურება ორივე მხარის ინტერესებს.

2014 წლის 16 აპრილს საქართველოს კანონის პატიმრობის კოდექსში შესული ცვლილებების თანახმად, საქართველოს კანონის პატიმრობის კოდექსის 65-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, მსჯავრდებულს, რომელიც სასჯელს იხდის დახურული ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში, უფლება აქვს 1 თვის განმავლობაში ჰქონდეს 1

[57] წამებისა და არაადამიანური ან ღირსების შემლახველი მოპყრობის ან დასჯის აღკვეთის ევროპის კომიტეტი (CPT). წამების საწინააღმდეგო ევროპული კომიტეტის საერთო ანგარიშების „სარეზოლუციო“ ნაწილები. სტრასბურგი, 18 აგვისტო 2000 წ. გვ. 37

ხანმოკლე პაემანი, ხოლო წახალისების ფორმით - თვეში 1 დამატებითი ხანმოკლე პაემანი. 2015 წლის იანვრიდან მაისის ჩათვლით N7 დაწესებულებაში 248 ხანმოკლე პაემანი განხორციელდა.

N7 დაწესებულებაში მსჯავრდებულთა მიერ 2015 წლის განმავლობაში პაემნით სარგებლობის მონაცემები თვეების მიხედვით მოცემულია ქვემოთ, ცხრილში.

N	თვე	ხანმოკლე პაემანი
1	იანვარი	43
2	თებერვალი	43
3	მარტი	39
4	აპრილი	38
5	მაისი	43
6	ივნისი	42

მოცემული ცხრილიდან ირკვევა, რომ N7 დაწესებულებაში ყველა პატიმარი ვერ სარგებლობს მისთვის კანონით მინიჭებული ხანმოკლე პაემნის უფლებით. აღსანიშნავია, რომ 2015 წლის 1 იანვრიდან 19 ივნისამდე დისციპლინური სახდელის სახით ხანმოკლე პაემნის შეზღუდვის 22 შემთხვევა დაფიქსირდა. მსჯავრდებულთათვის ოჯახის წევრებთან კავშირის შეზღუდვა უარყოფითად აისახება მათი რეაბილიტაციის პროცესზე.

ევროპული ციხის წესების 24.4 მუხლის თანახმად, პაემნების ორგანიზაცია ისე უნდა განხორციელდეს, რომ პატიმრებს საშუალება მიეცეთ, შეინარჩუნონ და განავითარონ ოჯახური ურთიერთობები შეძლებისდაგვარად ნორმალურ გარემოში.

აღსანიშნავია, რომ N7 დაწესებულებაში ხანმოკლე პაემანი ხორციელდება მინით გადატიხრულ ოთახებში. ასეთ შემთხვევაში, პატიმარი მოკლებულია ოჯახის წევრებთან ყოველგვარი ფიზიკური ურთიერთობის საშუალებას.

საქართველოს კანონის პატიმრობის კოდექსის 65-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტის თანახმად, დახურული ტიპის დაწესებულებაში განთავსებულ მსჯავრდებულს უფლება აქვს 1 წლის განმავლობაში ჰქონდეს 2 ხანგრძლივი პაემანი, ხოლო წახალისების ფორმით - წელიწადში 1 დამატებითი ხანგრძლივი პაემანი.

N7 დაწესებულებაში არ არის ხანგრძლივი პაემნისთვის საჭირო ინფრასტრუქტურა და შესაბამისად, უვადოდ თავისუფლებააღკვეთილი პატიმრები ვერ სარგებლობენ ხანგრძლივი პაემნის უფლებით.

სატელეფონო საუბრები

პატიმრობის კოდექსის 65-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, მსჯავრდებულს, რომელიც სასჯელს იხდის დახურული ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში, უფლება აქვს, 1 თვის განმავლობაში საკუთარი ხარჯით ჰქონდეს 3 სატელეფონო საუბარი, თითოეული არა უმეტეს 15 წუთისა, ხოლო წახალისების ფორმით, საკუთარი ხარჯით - ულიმიტო სატელეფონო საუბარი, თითოეული არა უმეტეს 15 წუთისა.

ევროპული ციხის წესების 24.5 წესის თანახმად, ციხის ადმინისტრაცია უნდა დაეხმაროს პატიმრებს გარე სამყაროსთან ადეკვატური კონტაქტის შენარჩუნებაში.

N7 დაწესებულებაში სატელეფონო ზარის განხორციელება შესაძლებელია საცხოვრებელ სართულებზე არსებული ტელეფონის აპარატებით, რომლებიც განთავსებულია სართულის დერეფანში. აღსანიშნავია, რომ დარეკვის დროს საუბარს ყოველთვის ესწრება მორიგე თანამშრომელი, რითაც ირღვევა პირადი საუბრის კონფიდენციალურობა.

უნდა აღინიშნოს, რომ მსჯავრდებულებს სატელეფონო ზარების განხორციელებასთან დაკავშირებით ექმნებათ პრობლემები, რომელიც დაკავშირებულია სატელეფონო ბარათებთან. იმ შემთხვევაში, თუ პატიმარი ერთ სატელეფონო ბარათზე ვერ ამოწურავს სასაუბრო ლიმიტს, მას დარჩენილი ლიმიტი ებლოკება, შესაბამისად აღარ აქვს დამატებითი სატელეფონო ზარის განხორციელების საშუალება და იძულებულია შეიძინოს ახალი ბარათი, რაც დამატებით ხარჯებთან არის დაკავშირებული. ბარათი იბლოკება იმ შემთხვევაშიც, თუ პატიმარი არასწორ ნომერს აკრეფს ან სატელეფონო კავშირი გაწყდება. გარდა ამისა, უნდა აღინიშნოს, რომ დაწესებულების ტერიტორიაზე არსებულ მაღაზიაში სატელეფონო ბარათების მუდმივი დეფიციტია, რაც ხელს უშლის პატიმრებს შეუზღუდავად ისარგებლონ მათთვის მინიჭებული უფლებით. ამასთან, აღსანიშნავია მსჯავრდებულთათვის დისციპლინური სახდელის სახით სატელეფონო საუბრის შეზღუდვის პრაქტიკა, რასაც ყველაზე მეტად იყენებს N7 დაწესებულების ადმინისტრაცია.

რეკომენდაცია სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრს:

- **უზრუნველყოს ხანმოკლე პაემნის განხორციელება მინის გამყოფი ბარიერის გარეშე**
- **N7 დაწესებულებაში განთავსებული მსჯავრდებულებისთვის უზრუნველყოფილი იქნას ხანგრძლივი პაემნით სარგებლობის შესაძლებლობა სხვა დაწესებულებაში გადაყვანის გზით**
- **უზრუნველყოფილი იქნას სატელეფონო საუბრის განხორციელება იმგვარად, რომ დაცული იყოს პირადი საუბრის კონფიდენციალობა**